ოჰვან ფაამუკი

ფარული ხახვ

ეიმოს კომპანიის

ორჰან ფამუქი ◆ ფარული სახე

სცენარი

თურქულიდან თარგმნა თამარ ალფენიძემ

ელფის გამომცემლობა ● თბილისი ● 2008

სცენარის ამბის ამბავი • ორჰან ფამუქი

სცენარებს მაინცდამაინც რომ არ კითხულობენ, მე თვითონაც ვიცი. საყვარელი ფილმის სცენარიც რომ იყოს, მომავალში წაკითხვის იმედით შევდებ ხოლმე წიგნის თაროზე და ძალიან დიდი ხნის შემდეგ ზუსტად ისე, როგორც ამჟამად თქვენ, წიგნის წინა- და ბოლოსიტყვაობას ვკითხულობ. და, როცა, ვკითხულობ საყვარელ სცენებს, ზოგიერთ დიალოგს, ვხვდები, რომ ოცნებები მემსხვრევა. თითქოს უხილავი ხელი ამბად წოდებული მელოდიის ყველაზე სულისშემძვრელ მომენტზე რადიოს ღილაკს აჭერს თითს და ხმას თიშავს. ფურცლებზე თითქოს ძალიან ბევრი სიცარიელეა, ძალიან ცოტა აბზაცია, თითქოს მკითხველი შორდება ავტორსაც, გმირებსაც და საკუთარ თავთან პირისპირ რჩება. ამ ნაკლის აღმოფხვრის იმედით, აბზაცებს ვუმატებ და ვუმატებ და ვცდილობ, ამბის ამბავი მოვყვე...

(გაგრძელება 104-ე გვერდიდან)

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხოური საავტორო უფლება
© Can Yayinlari 1992, 1993, 1994
© Iletişim Yayinlari 1995
© Orhan Pamuk 2007

ქართული საავტორო უფლება
© ელფის გამომცემლობა, 2008

© Elf Publishing, 2007
ყველა უფლება დაცულია

www.elf.ge

ამ წიგნიდან ტექსტის,
ნებისმიერი ილუსტრაციის
მაკეტის გამოყენება ნებისმიერ
ფორმით გამომცემლობის
წერილობითი ნებართვის
გარეშე იკრძალება კანონით.

ათასობით, ათასობით საიდუმლო
შეიცნობა, როცა ის ფარული სახე
გამოაჩენს თავის თავს.

ფარიდუდდინ ათარი

ქალაქთა ქალაქი

მოწიკწიკე დიდი კედლის საათი.
ტიტრები.

ღამე. ქალაქთა ქალაქის – სტამბოლის ხედი.
ლაჟვარდისფერ ღამეში მეჩეთების, გემების,
სასახლეების, მანქანების შუქი. ზღაპრული ხედი.

ფოტოგრაფი იწყებს ამბის თხრობას.
ტიტრების ფონზე მარტოსულის დაღლილი,
ნაღვლიანი ხმა ჰყვება...

ფოტოგრაფი: (ხმა) მეუბნებით, რაიმე გვიამბეო... კარგი, ერთ ამბავს გიამბობთ, მაგრამ შევძლებ კი გულის გადაშლას? არ ვიცი... როცა მეუბნებიან, რაღაც გვიამბეო, ხეებზე ვფიქრობ... ხეებზე ჩემი სიზმრებიდან... ერთხელ,

ერთი ამბავი მოვყევი, მსმენელებს გული გადავუშალე... მაგრამ მარტო მე არ ვიყავი მთხრობელი. ყველა რაღაც ამბავს ჰყვებოდა... მეც, არ ვიცი, რატომ, ხეებზე ვფიქრობდი... მაგრამ მაშინ ახალგაზრდა ვიყავი... არა, ახლა უკვე აღარ ვარ ახალგაზრდა.

კადრში ფოტოგრაფი... ნაადრევად მოტეხილი, ასე, დაახლოებით ოცდაათი წლის ახალგაზრდა... გაჩეჩილი, გაუპარსავი, დარდიანი. თუმცა არც ისე უგუნებოდ უნდა იყოს... მძიმე, სქელი ფარდის წინ ისე ზის, თითქოს პავილიონში ან სადმე გასართობ ადგილას იჯდეს. ჩანს, შეჩვეულია ასეთ ადგილებში ყოფნას... ჰო, მართლა, კმაყოფილია, ამბავს რომ ჰყვება... სევდიანად, ნაღვლიანად, თავდაჯერებულად ჰყვება, მაგრამ მის საუბარში რაღაც ირონიაც იგრძნობა.

ფოტოგრაფი: ჩემი ახალგაზრდობა ძალიან შორს, ჩემი მოსაყოლი ამბის დასაწყისში დარჩა... მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, დაუდეგარი, მამაჩემს ვეურჩებოდი... სულ სტამბოლში სწავლაზე ვფიქრობდი... ჯერ სტამბოლზე, მერე სწავლაზე... მამაჩემს არ დავუჯერე და სახლიდან წავედი... იმანაც ფულის გზავნა შემიწყვიტა... ერთი ნათესავის დახმარებით, ეს საქმე ვიშოვე... თავიდან არ ამომდიოდა, რომ პავილიონის ფოტოგრაფობას ვიწყებდი. ჩემთვის ვფიქრობდი, რომ მე და მამა დიდი-დიდი ექვსი თვის მერე შევრიგდებოდით, მაგრამ არა, ექვსი თვის შემდეგ

მამაჩემმა კი არა, ერთმა კაცმა მომძებნა... მერე გავარკვიე, ის კაცი მისი მსახური იყო. ქალაქის გარეუბანში, ერთ-ერთ სუჩაზე მდებარე სახლში წამიყვანა... იქ ერთ ქალს... მომხიბლავ და ლამაზ ქალს უნდოდა, რომ ფოტოატელიეებში, ბარებში გადაღებული ფოტოსურათები მისთვის მიმეტანა ხოლმე... ყოველ დილით... რისთვის სჭირდებოდა სურათები, არ უთქვამს. ამ სამსახურისთვის დიდძალი ფული შემომთავაზა. დავთანხმდი.

ქალი ფოტოგრაფის მოტანილ სურათებს
ათვალიერებს.
კადრში მისი ხელი ჩანს.
სურათებს ერთმანეთში ურევს.
პავილიონებში გადაღებული სურათები...
სევდიანი, მელანქოლიური სახეები...
ულვაშებიანი კაცები სვამენ...
ჩაშავებული და უტყვი სახეები.
მაგიდებს გარშემო მამაკაცები შემოსხდომიან.
ძალიან უცნაურნი, გადაბმული წარბებით, უაზროდ
იღრიჭებიან, სახეები პროფილში, სასმისები
აუწევიათ, დარდიანები...
მამაკაცთა მსგავსი და განსხვავებული სახეები...

ფოტოგრაფი: (ხმა) მთელი ღამე სურათების გადაღებისა და გამჟღავნების შემდეგ, გათენებამდე, ჩემს პატარა ოთახში ცოტას წავთვლემდი ხოლმე, მერე გზას დავადგებოდი. როცა ქალაქის

ახალგამოღვიძებულ, ნისლიან დილით შიშველი წაბლის ხეების ქვეშ მივდიოდი, ვფიქრობდი, ნეტა, რას ეძებდა ქალი ფოტოსურათებზე.

კამერა იღებს წაბლის ხეებს. ხის ტოტები ნელ-ნელა, უხმოდ მოძრაობენ.

ფოტოგრაფი: (ხმა) დაახლოებით ორი წელი გრძელდებოდა ასე... ყოველ დილით ფოტოსურათების მიტანისთანავე რაღაც აღტყინებით გამომტაცებდა ხოლმე ხელიდან, მაგიდას მიუჯდებოდა და მათზე აღბეჭდილ სახეებს დაჟინებით აკვირდებოდა. ერთადერთი, რაც კარგად მახსოვს, მამამისთან ერთად ბავშვობაში გადაღებული ფოტო იყო... წლების შემდეგ მივხვდი, რას ეძებდა ქალი.

ქალის სახლში

დიდი კედლის საათი წიკწიკებს. დილა.
დიდ, ცარიელ ოთახში მაგიდასთან ზის ქალი.
მის წინ, დივანზე — ფოტოგრაფი.
ქალი, ოცდათხუთმეტ წლამდე, მოვლილი...

ფოტოგრაფის მიერ მოტანილ სურათებს ყურადღებით აკვირდება. ზოგიერთს ცალკე დებს, ლუპით ათვალიერებს, ზოგს კი უყურადღებოდ ერთ მხარეს აწყობს. ჩანს, უკვე დახელოვნებულია ამ საქმეში, სწრა-

ფად მოძრაობს. მაკრატლით ფოტოდან ვიღაცის სახეს ჭრის.

სიგარეტს ეწევა.

ფოტოგრაფი დივანზე ზის და სურათების ალბომს ზერელედ ათვალიერებს, თან ცალი თვალი ქალისკენ გაურბის.

ფოტოგრაფის მზერა კედელზე დაკიდებული, ჩარჩოში ჩასმული ფოტოსკენაა მიმართული.

ფოტოსურათზე ჟოკეის შარვალში გამოწყობილი ორმოც წლამდე კაცი და ათი წლის პატარა გოგო სამოციანი წლების ამერიკული მანქანის წინ დგანან... მათ უკან დიდი, შთამბეჭდავი ხე დგას...

ქალი ფოტოსურათებს ფილატელისტივით აკურატულად აკვირდება. ხელში სიგარეტი უჭირავს.

ერთ ფოტოს დააშტერდა, იღიმება.

ქალი: ამ კაცის სახე ისეთი ცარიელი და სევდიანია, რომ მაშინვე ხვდები, სამი შვილი უნდა ჰყავდეს... ბავშვები დღე და ღამე ჩხუბობენ... კაცი სიზმარში ბაღით გარშემორტყმულ სახლს ხედავს.

სხვა ფოტოს დასწვდა... თითქოს მობეზრდა. შემდეგ — სხვას.

ერთ-ერთის თვალიერებისას, უცებ გაფაციცდა. ფოტოს ლუპით ყურადღებით ათვალიერებს.

ფოტოგრაფი გრძნობს, რომ ქალს სახე ეცვლება...

ქალი მაგიდიდან დგება, ფანჯარასთან მიდის და მზის შუქზე ფოტოს კიდევ ერთხელ აკვირდება.

ქალი: ამ კაცის სხვა სურათები ხომ არ გაქვს?

ფოტოგრაფი ჩანთიდან სურათების დასტას იღებს და ქალს უახლოვდება.

ფოტოგრაფი: ყველა აქაა....

ფოტოგრაფი დასტიდან ერთ ფოტოს ირჩევს და ქალს აწვდის.

ამ სურათზე სამი კაცია.

ჭიქებს უჭახუნებენ ერთმანეთს. მარცხნივ, ერთ-ერთის მრავლისმეტყველი სახე იქცევს ქალის ყურადღებას.

ქალი: სხვა?
ფოტოგრაფი: არა მაქვს, არ გადამიღია.
ქალი: (ნერვიულად) რატომ?
ფოტოგრაფი: ეს სახე სხვებისგან არაფრით გამოირჩევა.

ქალი ჯდება. ფოტოსურათზე აღბეჭდილ სახეს ყურადღებით აკვირდება.

ქალი: არა... მისი სახე რაღაც ამბავს ჰყვება... მამაჩემი ამბობდა, მეტყველი სახე ყოველთვის რაღაც ამბავს ჰყვებაო...
ფოტოგრაფი: ვინ არის ეს კაცი?
ქალი: არ ვიცი... (ჩაფიქრებული) მაგრამ ასე მგონია, თითქოს მრავალი წელია ვიცნობ.

ქალი მაცდურად ეკითხება.

ქალი: შეგიძლია ეს კაცი მომიძებნო?
ფოტოგრაფი: (გაოცებული) ერთ ოფიციანტს ვიცნობ... ვკითხავ.

ქალი კმაყოფილია, იღიმება. ისევ ფოტოსურათებში ეფლობა...

ქალი: კიდევ გადაულე... მინდა, დავრწმუნდე, რომ ის არის.

ფოტოგრაფი გადის.
ქალი ისევ ფოტოსურათზე აღბეჭდილ სახეს უყურებს, რაღაც გაახსენდა.
სწრაფად მიდის, ქუჩაში გასასვლელ კარს აღებს.
კიბეებზე ჩამავალ ფოტოგრაფს მიაძახა.

ქალი: ჰკითხე, ცხოვრებაში ყველაზე მეტად რა უნდა...

ქალი კარს ხურავს.
როცა მარტო რჩება, თითქოს სიზმრისეულ ატმოსფეროში იძირება. თავის თავთან მოთამაშე პატარა გოგონასავით ებუტბუტება საკუთარ თავს. თითქოს რაღაც ახსენდება.

ქალი: ჰკითხე, რას ხედავს სიზმარში... სიზმრები აუცხადდა თუ არა... თუ ავიწყდება? სიზმარში სახეები თუ იშლება, ან იქნებ ირევა? შეუძლია, გაიხსენოს, როგორია სინამდვილეში?

ფოტოგრაფი ბეიოღლუს ქუჩაზე გადადის. სამიკიტნოში შედის. პირდაპირ სამზარეულოსკენ იღებს გეზს, ეტყობა, აქ შინაურულად გრძნობს თავს. სამზარეულოში, სარკის წინ, მსუქანი ოფიციანტი წვერს იპარსავს. სახე გაქაფული აქვს.
მარცხნივ მზარეული კარტოფილს თლის.
ფოტოგრაფი მსუქან ოფიციანტს უახლოვდება.

ფოტოგრაფი: სამართებელს ხმარობ?
ოფიციანტი თვალს არ აშორებს სარკეს.
ოფიციანტი: ერთხელ ვთქვი, „ჯილეტს" ვიხმარ-მეთქი, ასე მეგონა, ქაფიდან სულ სხვა ადამიანის სახე გამოჩნდებოდა. ჰმ, ჩემი სამართებელი ზუსტად ოცდათხუთმეტი წელია არ გამომიცვლია. მასაც ჯერ არასოდეს უღალატია ჩემთვის... შეხე, შეხე... ქაფიდან ჩემი საკუთარი სახე ჩნდება.

ფოტოგრაფი ჩანთიდან ფოტოს იღებს და ერთ კაცზე ანიშნებს.
ფოტოგრაფი: ამას იცნობ?
ოფიციანტი: არა.
ფოტოგრაფი ახლა სხვა კაცზე უთითებს.
ფოტოგრაფი: ამას?
ოფიციანტი: რატომ მეკითხები? (დუმილი) ის და ჩემი ცოლი ერთი ქალაქიდან არიან... ავტობუსის მძღოლად მუშაობს...

ფოტოგრაფი: რომელ ხაზზე?
ოფიციანტი: ეიუფ-ემინონუზე.

ეიუფ-ემინონუს ხაზის ავტობუსში

ფოტოგრაფი ავტობუსის სავარძლიდან პირდაპირ მძღოლს უყურებს. მანქანის გვერდითა სარკიდან მძღოლი ჩანს... გზაზე სახლები, ძველი შენობები, ატელიეები...

ფოტოგრაფი მძღოლს უახლოვდება, ფოტოს აჩვენებს. მძღოლი თავდაპირველად ვერ ხვდება, მაგრამ მერე ცნობს ფოტოსურათზე კაცს.

მძღოლი: შენ გადაიღე?
ფოტოგრაფი: ამ კაცს ვეძებ... საფულე დარჩა.
მძღოლი: რჩება ხოლმე, დაბნეულია... მესაათეა.
ფოტოგრაფი: სახელოსნო სად აქვს?
მძღოლი: გაჩერებაზე მივალთ და გაჩვენებ.

მესაათეს სახელოსნო

ქუჩა სავსეა გასაშრობად გაფენილი სარეცხით. ბებერი ჭადრის ხე. ძველი სახლი.
ფოტოგრაფი მესაათეს სახელოსნოს უახლოვდება.

ვიტრინაში იყურება, ცდილობს დაინახოს, რა ხდება შიგნით.

ცოტა აღელვებულია. ინტერესით აღებს კარს, კარის თავზე დამაგრებული ზარი რეკავს.

გაოცებულია. საათების წიკწიკი.

დაზგის წინ გამოპრანჭული ჯუჯა დგას, მის უკან — მესაათე...

მესაათე მუშტარს შეკეთებულ საათს აწვდის.

მესაათე: დიახ... სულ ბედნიერი დრო ეჩვენებინოს თქვენთვის.

ჯუჯა ჯაჭვიან საათს ყურზე იდებს და ბედნიერი გამომეტყველებით უსმენს.

ჯუჯა: მუშაობს!

მესაათე: ძველებურად გამოსცემს ხმას?

ჯუჯა: (კმაყოფილი) ზუსტად ის ძველი ხმაა.

ჯუჯა სათუთად იდებს საათს ჟილეტის ჯიბეში, გადის.

ზარის ხმა.

მესაათე ფოტოგრაფს უყურებს.

მესაათე: მობრძანდით!

ფოტოგრაფი იხსნის საათს და დაზგაზე დებს.

ფოტოგრაფი: ამას ხომ არ ნახავდით?

მესაათე: რა სჭირს?

ფოტოგრაფი: (თვალთმაქცობს) რაღაც დარდი აწუხებს, მაგრამ რა, არ ვიცი.

მესაათე საათს იღებს, მაშინვე ოსტატურად ხსნის. მარჯვე თითები. უხერხულობის განცდა...

ფოტოგრაფი: მეგონა, საათები უკვე აღარ ფუჭდებოდა.

მესაათე: რატომ?

ფოტოგრაფი: იმიტომ, რომ ადამიანები უკვე აღარ აწყობენ საათებს.

მესაათე: მაგრამ შენი ადამიანის აწყობილი ყოფილა. უსმინე (საათს ფოტოგრაფს აწვდის), ზამბარა გადარჩენილა.

ფოტოგრაფი საათს ყურადღებით უსმენს.

მესაათე: როგორ შეატყვე, რომ დადარდიანდა?

ფოტოგრაფი: ისე, ვიგრძენი... მაწუხებდა.

მესაათე: ყველას შენნაირად რომ ეგრძნო, ეს ქვეყანა სულ სხვა სამყაროდ გადაიქცეოდა... შენს საათს ისეთ ნაწილს ჩავუდებ, ვერავინ მიხვდეს. ამიერიდან არც შენ და არც შენი საათი აღარ შეწუხდებით.

მესაათე სამუშაო მაგიდიდან დგება, სხვა ოთახში გადის.

ფოტოგრაფი სახელოსნოს ათვალიერებს.

ღელავს. საათები. საათების წიკწიკი.

სათამაშო საათის ლამაზ ქანქარას ეხება.

მესაათე სამუშაო მაგიდასთან ბრუნდება. ხელში საათის რომელიღაც დეტალი უჭირავს.

ფოტოგრაფი: სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად ასეთ სახელოსნოშია მუშაობა საჭირო?

მესაათე: საიდუმლო სახელოსნოში კი არ არის, საათების გულშია.

ფოტოგრაფი: რა საიდუმლო?

მესაათე: ზუსტად არ ვიცი, მაგრამ საღამოს, როცა სახელოსნოს ვკეტავ და სახლში მივდივარ... სახლი მდუმარეა. იმდენად მდუმარე, რომ, ასე მგონია, თითქოს იქაც, აი, ამ საათების წიკწიკი მესმის... როცა კარს ვკეტავ და დარაბებს ვხურავ, სიბნელეში საათების წიკწიკზე ვფიქრობ. ყველაფერი ამ ცარიელ და ბნელ სახელოსნოში ერთ წამში... ეს აზრი მოსვენებას არ მაძლევს, ყმაწვილო.

საათის შეკეთებას მორჩა, ფოტოგრაფს აწვდის.

ფოტოგრაფი: რამდენი უნდა გადაგიხადოთ?

მესაათე, თითქოს ვერც გაიგო, ყურადღებას არ აქცევს ფოტოგრაფის ნათქვამს.

ფოტოგრაფი წამით ძალას იკრებს.
ქალის შეკითხვა ახსენდება.

ფოტოგრაფი: რა გინდა ცხოვრებაში ყველაზე მეტად?

მესაათე ერთხანს ფიქრობს.

მესაათე: მინდოდა, ადამიანებისთვის საათებზე მეამბა... მექანიზმების სინატიფეზე, ქანქარას იდუმალებაზე, იმაზე, თუ რა საშიში თვისება აქვს ზამბარას. ახლა არავინ იცის, რა არის საათი... ალბათ, იმიტომ არიან ადამიანები სევდიანები. ალბათ, ეს არის მიზეზი, თავიანთ ამბებსაც რომ არ ჰყვებიან... ისინი ვერც კი გრძნობენ, თუ როგორი სულია საათის ისრების მიღმა... მინდოდა, შემძლებოდა ადამიანებისთვის საათების საიდუმლოებაზე მომეთხრო... მაშინ ისინი გამოღვიძებულებივით სამყაროს სხვანაირად გაუსწორებდნენ თვალს... მაშინ თავს დააღწევდნენ თავიანთ დარდებს და იქნებ, საკუთარი ამბების მოყოლასაც შეძლებდნენ...

ფოტოგრაფისა და მესაათეს თვალები ერთი წამით შეხვდნენ ერთმანეთს. მესაათე თავის იარაღებსა და დაზგებზე იხრება, ფოტოგრაფი სწორედ ამ დროს გადის სახელოსნოდან.
კარიდან რამდენიმე ნაბიჯს დგამს, ჩერდება, რაღაც ახსენდება.
ისევ შედის სახელოსნოში.

K61.342

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

ნაჩქარევად უღებს მესაათეს ფოტოს. როდესაც აპარატი კვლავ ინთება, მესაათე ხელით აჩვენებს, რომ აღარ გადაუღოს.

ფოტოგრაფი: გმადლობთ.

ფოტოგრაფი გადის თუ არა, მესაათე მაშინვე თავის სამყაროს უბრუნდება. კარის ზარის წკრიალი.

ფოტოგრაფის სახლი

ფოტოგრაფი სურათებს ამჟღავნებს.
წამლიან ჭურჭელში ნელ-ნელა იკვეთება მესაათეს სახე.
ფოტოგრაფი ავზიდან ფოტოს იღებს და მესაათეს ყურადღებით აკვირდება.
ფოტოგრაფი მაგიდის თავში ზის და წერილს კითხულობს.
წერილს კეცავს და კონვერტში დებს.
სევდიანია.

ქალის სახლი

სახლის საერთო ხედი.
ქალი მაგიდის თავში ზის და სურათზე მესაათეს სახეს დაჰყურებს.

ქალი: ვიცოდი, რომ მესაათე იქნებოდა... მხოლოდ მესაათეს შეიძლება ჰქონდეს ასეთი სახე,

თავგზას რომ აგიბნევს, უცნაური. ყველაფერია ამ სახეზე: დარდი, შიში, სიყვარული... რუკაა, არ შევმცდარვარ.

ფოტოგრაფი დივანზე ზის. მოუსვენრადაა. ეჭვიანობს.

ფოტოგრაფი: ის შენ სრულებით არ გგავს!
ქალი: კიდევ მიამბე მის ოცნებებზე.
ფოტოგრაფი: (ნერვიულად) თურმე ადამიანებისთვის საათებზე მოყოლა ნდომებია... მაშინ, თურმე, ადამიანები სევდისგან თავს დაიხსნიდნენ, თავიანთი ამბების მოყოლას შეძლებდნენ.

ქალი დგება, ჩაფიქრებული გადის.
ქალი: მისი სიტყვებით მითხარი.

ფოტოგრაფი გონებას ძაბავს.
ქალი საათისკენ მიდის.

ფოტოგრაფი: თითქოს არც კი არსებობდა მისი სიტყვები. არიან ადამიანები, რაღაც ამბავს გიყვებიან. როცა სახლში ბრუნდები, თავი სავსე გაქვს იმ ამბებით, მაგრამ იმ ადამიანის ნაამბობი ერთი სიტყვაც არ გახსოვს.

ფოტოგრაფი ამჩნევს, რომ ქალი საათთან აღარ დგას, თვალს მიეფარა. ინტერესდება. დგება და უხმოდ მიდის იმ მხარეს, სადაც ქალი იდგა.
საათის ძლიერი წიკწიკი.

ფოტოგრაფი თავის ადგილს უბრუნდება. იქ მას ქალი ხვდება, რომელიც წამით მარტოობის გრძნობას შეუპყრია.
პირველად რასაც ხედავს, ეს მაგიდაზე სამი ნივთია: სარკე, უთო, ლამპა...

ქალი ფოტოგრაფის მზერას მიჰყვება. ოდნავ ეუხერხულება.
მთლიანად გულის გახსნის სურვილს აუტანია.

ქალი: რა ლამაზ ნივთებს ვხედავ სიზმრებში... მაგრამ დილით რომ ვიღვიძებ, არაფერი მახსოვს... ერთადერთი, რაც შემიძლია გავიხსენო, მხოლოდ ეს ნივთებია: სარკე, უთო, ლამპა...

ფოტოგრაფი ცდილობს გაერკვეს, ამ სიზმრისეულ ნივთებს დაჰყურებს.

ქალი: ღიმილი როგორი ჰქონდა?
ფოტოგრაფი: ვის?
ქალი: მესაათეს!
ფოტოგრაფი: სევდიანი...

ქალი ფანჯრიდან გარეთ იყურება. ჩაფიქრებულია.

ქალი: სევდიანი, არა? (უცებ წასასვლელად ემზადება) მასთან წამიყვანე!
ფოტოგრაფი: სხვა ფოტოსურათებიც მაქვს, არ ნახავ?

ქალი: ორი წელი ვეძებეთ ერთად... ახლა კი მასთან წამიყვანე!.. გთხოვ...
ფოტოგრაფი: (ყოყმანობს) ახლავე?
ქალი: ახლავე!

ქალი გადის.
ფოტოგრაფი გამოუვალ მდგომარეობაშია, ბრაზდება.

ფოტოგრაფი: ეს ის არ არის, ვისაც ეძებ!

ცისფერ მანქანაში

ქალის 60-იანი წლებიდან შემორჩენილი ამერიკული მარკის ცისფერი მანქანა თარლაბაშის გამზირზე სწრაფად მიიწევს წინ.
ფოტოგრაფი მანქანის სარკიდან ქალის კისერზე ჩამოკიდებულ ავგაროზს ამჩნევს, ათვალიერებს.

ქალი: მამამ ჩამომკიდა... დაგიცავსო... რადგან იცოდა, ზუსტად ოცი წლის შემდეგ ამ მანქანით ერთი სახის საძებნელად რომ წავიდოდი... მამა სულ ამბობდა, რომ ერთხელაც ქალაქში დავბუნდებოდით... იქ ლამაზ ცხენზე შემსვამდნენ... სულ უნდოდა, კარგ ცხენზე დავესვი.
მანქანა იმავე სისწრაფით ეიუფის უბანს უახლოვდება. ორივე ჩაფიქრებულია.
ფოტოგრაფი: სახლიდან წერილი მივიღე... მამა ავად ყოფილა.

დუმილი.
ორივე საკუთარ სამყაროში ჩაფლულა. ქალი, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, ამბობს.

ქალი: რამდენჯერ მიფიქრია, შევძლებდი თუ არა შენთვის ახსნას, რატომ ვუყურებ ამ სახეებს.

კადრში ხე ჩანს. შიშველი ტოტები.
მანქანა სწრაფად მიიწევს წინ.

ქალი: ადამიანებს რომ ვუყურებ, მინდა ვუამბო ხოლმე... მაგრამ მერე აღარ მინდება.

მესაათეს სახელოსნოს ცოტა მოშორებით

ცისფერი მანქანა იმ უბანში უხვევს, სადაც სახელოსნოა. როცა სახელოსნომდე 30-40 მეტრი რჩება, ქალი მანქანის სვლას ანელებს. ტროტუარს უახლოვდება. დუმილი.

ქალი: რომელია?

ფოტოგრაფი: (ანიშნებს) აი, წინ რომ არის.

ქალი: (აღელვებული) თითით ნუ მაჩვენებ.

მესაათეს სახელოსნოს წინ კურტნიანმა შუშის გამყიდველმა გაიარა.

ფოტოგრაფი: აი, ახლა შუშის გამყიდველმა მის წინ გაიარა. აი, იქ.

ქალი: ის არის?

სახელოსნოდან ტყავის პიჯაკიანი კაცი გამოდის. იღლიაში საათი ამოუჩრია.

ფოტოგრაფი: არა.

ქალი: რა თქმა უნდა, არა.

ქალი ზედმეტი მღელვარების, გაოცების გამო, თითქოს ბოდიშს იხდისო, იღიმება, ჩანთაში სიგარეტის კოლოფს ეძებს, პოულობს. სიგარეტს პირში იდებს. ფოტოგრაფი სანთებელათი უკიდებს.

ქალი განერვიულებული, აღელვებულია.

ორივე ქუჩაში იყურება.

ქუჩაში ორი გოგონა „კლასობანას" თამაშობს.

უკნიდან მანქანას ორი კაცი უახლოვდება, საუბრობენ.

ახოვანი კაცი: ...თქვენ თვითონ თუ არ მიხედავთ თავს, მე ამ საქმეში უბრალო ვარ-მეთქი, ვუთხარი.

ჩია კაცი: რა იცი, ამის შესახებ?

ახოვანი კაცი: რას ამბობ?! მე რომ ამ ქალაქში ჩამოვედი, იმავე დღეს სასტუმროს ოთახში, ვფიცავ ალაჰს... შვიდი სული, მერე, რა თქმა უნდა, თუ შეგიძლია მოყვე შენი დარდის შესახებ, მოყევი.

ორმა კაცმა მესაათეს სახელოსნოს წინ ჩაიარა და იქაურობას გაშორდა.

ფოტოგრაფმა მოუთმენლობისგან მანქანის რადიოს ტრიალი დაიწყო. სხვა სამყაროს ასოციაციის გამომწვევი მუსიკა და ხმები.

ქალი: (ეჭვიანად) დარწმუნებული ხარ, რომ ეს ის სახელოსნოა?

ფოტოგრაფი: დარწმუნებული ვარ.

ისევ დუმილი.

ქალი: (ნერვიულად) ნეტავ როგორ შემხვდება? სალამი, როგორ ბრძანდებით? ხელს ჩამოვართმევთ ერთმანეთს. მამაზე ვუამბობ. მის ხელებზე კიდევ ერთხელ მიამბობ?

ფოტოგრაფი: (თავიდან იშორებს) მარჯვე ხელები...

ქალი: ღიმილი? ღიმილი როგორი ჰქონდა?

ფოტოგრაფი: სევდიანი.

დუმილი.

ქალი: აღარ ვნერვიულობ.

მანქანის უკან, შორს მეძველმანე გამოჩნდა.

მეძველმანე: მეძველმანე... ძველ ნივთებს ვყიდულობ... მეძველმანე...

ფოტოგრაფი: შეხე! ის! აი, ის!

მესაათე სახელოსნოდან გამოდის.
კეტავს სახელოსნოს კარებს.

ქალი: (ღელავს) ვერ ვხედავ!

ფოტოგრაფი: აი, ის!

მესაათე ქუჩის მეორე მხარეს გადადის. წამით ჩერდება. ჯიბეში რაღაცას ეძებს. შემდეგ გადაწყვეტილებას იღებს და მიდის.

მესაათე ნელ-ნელა შორდება მათ, ქალი მანქანის პედალს აჭერს ფეხს.
ძრავა არ ამუშავდა.
ქალი ისევ აწვება მანქანის პედალს.
ძრავა ამუშავდა.
მანქანა ნელ-ნელა დაიძრა მესაათეს მიმართულებით.
ქალიც და ფოტოგრაფიც ძალიან ღელავენ.
მანქანა ნელ-ნელა მესაათეს უახლოვდება.
მესაათე გრძნობს, რომ მანქანა უახლოვდება.
თავის სამყაროშია, მაგრამ წამით ბრუნდება.
ქალი მის სახეს მისჩერებია.
მესაათე ქალს უყურებს, შემობრუნდა და მის წინ დადგა. შეამჩნია ქალის დაჟინებული მზერა და კიდევ შეხედა.
დრო ცოტაც რომ გაგრძელდებოდეს, ქალი ხომ პირველად ხედავს სახეს, რომელსაც წლების მანძილზე ეძებდა.
იგი გზას კი არა, მესაათეს უყურებს.
საყვირის ძლიერი ხმა ისმის.
ქალის პირდაპირ წითელი სატვირთო მანქანა გამოვარდა.

ქალი მიმართულებას მარჯვნივ იჭერს. ძლივს იხსნა დაჯახებისაგან მანქანა.
მესაათემ, ამ დროს, სადღაც შეუხვია და თვალს მიეფარა.
ქალი უმატებს სიჩქარეს, რომ დაეწიოს.
მანქანა სხვა ქუჩაზე გადადის.
იქ არავინაა...
ქალი ერთხანს ჩერდება. ღრმად სუნთქავს.

ქალი: დავკარგეთ!

მანქანას სიჩქარეს უცვლის და ისევ იძვრის ადგილიდან.
ცრის.
მანქანა მდინარის შესართავთან, სანაპირო ქუჩაზე, მიდის.
ქალი მოგონებებში ჩაფლულა, თან მანქანას მართავს, თან მგრძნობიარე ხმით ჰყვება.

ქალი: როცა პატარა ვიყავი, მამაჩემი მოულოდნელად გადაიკარგებოდა ხოლმე... ზოგჯერ იმიტომ ქრებოდა, რომ მეთამაშებოდა... მეგონა, სახლში, ერთ კუთხეში მაშინვე ვიპოვიდი და აღელვებული ძებნას ვიწყებდი. ზოგჯერ ისე გადაიკარგებოდა, არაფერს მეტყოდა... მაშინ ვფიქრობდი, რომ მეთამაშებოდა. სადღაც მემალება, მეთამაშება და ახლავე ვიპოვი-მეთქი. მამაჩემი გამხდარი და მაღალი იყო... სახე რბილი ჰქონდა, გამოხედვა — სევდიანი... (თვალები უცრემლიანდება), მაგრამ ყოველთვის კი არ იყო ასეთი. რამეს თუ დავაშავებდი, წარბებს შეკრ-

ავდა, სახე აერეოდა და მაშინ, ძალიან რომ გაბრაზდებოდა, გადაკარგვა იცოდა. (ცრემლები სდის) არ გამიბრაზდე, რა, მამა, — ვეხვეწებოდი ხოლმე. უკეთესად შევჯდები ცხენზე... როგორც წესია... სწორად დავჯდები... რომ იკარგები, მე ვერ ვძლებ... სახლში საათობით ვეძებდი, ორ-მოცჯერ ნანახ ადგილს, ისევ ვნახულობდი. (ტირის) სადა ხარ, მამა, გამოდი, რა, მეც აღარ ვიზამ... ბნელდება, მეშინია, ნუ იმალები, შენ როგორიც გინდა, ისეთი ვიქნები... ნუ მიბრაზდები, ნუ იმალები... დამელაპარაკე, რა, სახლი ცარიელია, გეხვეწები, გეხვეწები...

სადღაც ყურესთან

მანქანა სადღაც, გაურკვეველ ადგილასაა. ჩერდება. უდაბური ადგილია. ცრის.
ქალი ჯერ კიდევ ჩუმად ტირის.
ფოტოგრაფი ქალს უმწეოდ უყურებს. ნელა უახლ-ოვდება, ხელს თმებში უცურებს. ერთხანს ასეა გაჩერ-ებული, შემდეგ მოფერებას იწყებს.

ფოტოგრაფი: ნუ ტირი, ნუ ტირი, გეთაყვა...

ქალი ცოტა გამოერკვა. დუმილი.
ქალი: ძალიან მომწყურდა... წყალს მომიტან?
ფოტოგრაფი: წყალს?
ქალი: წყალს.

ფოტოგრაფმა მიდამო მოათვალიერა, მაღაზია დალანდა. გადავიდა მანქანიდან.
ქალი მანქანაში მარტო რჩება. თავის ფიქრებს უბრუნდება.

ფოტოგრაფი მაღაზიაში შედის.

ფოტოგრაფი: წყალი გაქვთ?

გამყიდველი: (კარგად არ ისმის) ვერ გავიგე?

ფოტოგრაფი: წყალი! წყალი გაქვთ?

გამყიდველი: დიახ.

ფოტოგრაფი ჭიქით ხელში გამოდის დუქნიდან. მაგრამ გარეთ არც ქალია, არც მანქანა. ფოტოგრაფი ცარიელ ქუჩას გაჰყურებს. სიმარტოვის, უმწეობის გრძნობა.

ფოტოგრაფი თავის სახლში

ფოტოგრაფი საწოლზე წევს.

მესაათეს სახელოსნოში ასობით საათის წიკწიკი. კადრში საათები.

სრულიად მარტო, ბნელში მოწიკწიკე ასობით საათი. ინათა თუ არა, ფოტოგრაფი ადგა.
მაგიდასთან მივიდა.
ერთხანს ახალგადაღებულ სურათებს უყურა.
ფიქრებშია ჩაფლული.
უცებ, რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, სურათები დასტად შეკრიბა.

ფოტოგრაფი ქალის ცარიელ სახლში

ფოტოგრაფი ქალის ცარიელ სახლში სწრაფად შედის. სიბნელეში კიბეზე სწრაფად არბის.
ზედა სართულიდან ორი მუშა ერთად მძიმე კარადას ქშენა-ქშენით მიათრევს. გვერდით რომ ჩაუარეს, ფოტოგრაფს სახეზე მოუსვენრობა დაეტყო.
ფოტოგრაფი ღია კარიდან ქალის ბინაში შედის. გაოცება. ქალის ბინა სრულიად ცარიელია.
იატაკზე ასობით ფოტო, გაზეთის ამონაჭრები... ჟურნალები, ალბომები...
ფოტოგრაფი თითქოს ჯერ კარგად ვერც ხვდება, რომ ქალი არ არის... იატაკზე დაყრილ სურათებს უყურებს, გაოცებულია.
იხრება, ერთ-ორ ფოტოს იღებს, უყურებს, იხევ იატაკზე აგდებს.

დამლაგებელს, რომელიც იქაურობას აწესრიგებს, უახლოვდება.

ფოტოგრაფი: იცი, სად წავიდა?

დამლაგებელი: არა, ოცი წლის შემდეგ, აი, ასე, ორ დღეში, ადგა და წავიდა.

ფოტოგრაფი: ნივთები?

დამლაგებელი: ყველაფერი მეძველმანესთვის მიუყიდია.

ფოტოგრაფი ოთახში, შიგნით პატარა მაგიდას ამჩნევს. მაგიდაზე ისევ ის ნივთები — სარკე, უთო, ლამპა დგას.

შემოდის მეძველმანე ხელში ტომრით. ამ სამ ნივთს ტომარაში სწრაფად დებს და გადის.

ფოტოგრაფი მესაათეს დუქნის წინ

ფოტოგრაფი მესაათეს სახელოსნოსკენ გარბის.
ჩერდება, სახელოსნო დაკეტილია.
დარაბები ჩამოშვებულია.
ზედ დაფაა წარწერით: „ქირავდება სახელოსნო“.
ფოტოგრაფი უმწეობისგან დარაბებს ანჯღრევს.
საბნის მკერავმა ჩაუარა სასაბნე ნაჭრით ხელში.

საბნის მკერავი: დაკეტილია... დაკეტილი...

ფოტოგრაფი: სად წავიდა?

საბნის მკერავი: გაუჩინარდა.

ფოტოგრაფი უმწეოდ დგას.

ბიზანტიურ ნანგრევებთან

ფოტოგრაფი ერთი კედლის ნანგრევზე ჯდება. დარდობს, ქალისა და მესაათეს კვალი რომ დაკარგა. ყურე. შიშველი, გამხმარი ხის სევდა.
ფოტოგრაფი ქალისთვის მოტანილ სურათებს სიცარიელეში ისვრის.

ფოტოგრაფი სახლში

ფოტოგრაფი ღამე საწოლის ნაპირზე მობუზული, ქუჩის ლამპიონის მბჟუტავ შუქზე. ქალის სიტყვებს აუხსნელი გრძნობით იხსენებს.

> **ფოტოგრაფი:** სალამი, როგორ ბრძანდებით... ერთმანეთს ხელს ჩამოვართმევთ... მას მამაზე ვუამბობ... მის ხელებზე კიდევ მომიყვები? მისი ღიმილი? რაღაც ამბავი... მეტყველი სახე ყოველთვის რაღაც ამბავს ჰყვება... მომწყურდა... წყალს მომიტან?

კარზე აკაკუნებენ.
დგება, მიდის, აღებს.
ფოსტალიონია.

> **ფოსტალიონი:** დეპეშაა.

დეპეშას იღებს. რვეულში ხელს აწერს. დეპეშას კითხულობს.

ფოტოგრაფი ოთახის შუაგულში მონუსხულივით დგას.

ავტობუსი

ავტობუსი გზატკეცილზე სწრაფად მიიწევს წინ.
ფოტოგრაფი უკან მობუზული ზის.
ფანჯრიდან ჩანს, როგორ ირხევა ნაზი, კოხტა ალვის ხეები.

ავტობუსი ღამითაც მიჰყვება გზას. მანქანების შუქებით აჭრელებულ სიბნელეში მანქანების ფარები უახლოვდება, ჩაივლის და შორდება.

მკვდართა ქალაქი

გამხმარი, მკვდარი ხეები.
მკვდართა ქალაქის საერთო ხედი.

ნისლიანი დილა.
ფოტოგრაფმა დაცარიელებულ ბაზარში გაიარა.

უკაცრიელი ქუჩები. სევდა...

ფოტოგრაფი ერთხანს მამის სახლთან დგას, მერე კარზე აკაკუნებს.

მამის სახლში

მამის ცხედარი.
ფოტოგრაფი მის თავთან ჯდება.
ხელი მამის სახისკენ მიაქვს. მიცვალებულს თვალები ღია აქვს.
ფოტოგრაფს ხელი უკან მიაქვს.

მამის სახლის ხედი გარედან.

ფოტოგრაფი დივანზე წამოწვა. მაშინვე იძინებს.
დედა ოთახში შემოდის, ტახტზე იხრება.
ვაჟს სახეზე სიყვარულით, მსუბუქად უსვამს ხელს.

დედა: აქ არ დაიძინო, შეგცივდება.

დედა, უფროსი ძმა, ფოტოგრაფი სამზარეულოში მაგიდასთან სხედან. მაგიდის სუფთა გადასაფარებელი. მხოლოდ უფროსი ძმა ჭამს რაღაცას.

დედა: (ფოტოგრაფს) სახეზე ნაცრისფერი გადევს.

დუმილი.

ფოტოგრაფი: ეს რა ხმაა?

უფროსი ძმა: არაფერი გამიგია.

ფოტოგრაფი: მამას თვალები არ ეხუჭება.

უფროსი ძმა: მამას თვალები რომ დაეხუჭოს...

დედა: დაეხუჭა უკვე, ნუ მიაქცევთ ყურადღებას. უნდოდა, ყველაფერი ასე ყოფილიყო. ჩვენ ყველანი მაგიდის გარშემო...

კედელთან კუთხეში მამის ჩექმები.

დედა: ამიერიდან შენ აქ დარჩები... გასაკეთებელი ბევრია... ამ კვირას ფერმაში წადით, გაიგეთ, რა ამბავია. მისახედია იქაურობა...

სიბნელეში ორი შემზარავი, მსუქანი კაცი ბაღში შემოდის. მხრებზე კუბო უდევთ, ერთს იღლიაში თოკი და ღვედი ამოუჩრია...

რძალი მათ ფანჯრიდან უყურებს.

რძალი: მოვიდნენ.

ვაჟიშვილები მაგიდიდან წამოიშალნენ...

დედა: დასაფლავებაზე თვალცრემლიანი არავინ გნახოთ!

სასაფლაო

საფლავთან შეკრებილი ხალხის საერთო ხედი.
იმამის ყვირილი: ფათიჰა!

უფროსი ძმა და ფოტოგრაფი ლოცულობენ, ხელებს მაღლა შლიან.
საფლავში ჩასული ხანდაზმული კაცი კუბოს სახურავს ხდის.

ხანდაზმული კაცი: ვაჟიშვილები სად არიან, შვილები სად არიან? აქ მოიყვანეთ.

ფოტოგრაფი მამის საფლავის თავთან მიიყვანეს.

ხანდაზმული კაცი: კარგად დახედე, შენი მამაა?

ფოტოგრაფი: (ჩუმად) მამაჩემია...

ხანდაზმული კაცი: ვერ გავიგე, კიდევ ერთხელ თქვი.

ფოტოგრაფი: დიახ, მამაჩემია, ეს ჩემი მამაა!

ფერმისკენ მიმავალ გზაზე

ფოტოგრაფი და მისი უფროსი ძმა ლიანდაგზე მიდიან. რკინიგზის ხიდზე რომ გადადიოდნენ, ფოტოგრაფმა გზააბნეული კუ დაინახა. გაჩერდა და შეაბრუნა.

უფროსი ძმა: მგონი, სულ სხვანაირი იყო მამაჩემი, თორემ იმ უცნაურ ქალს არ შეიყვარებდა. ჩემი თავი დავარწმუნე ამაში. საღამოს, როცა სახლში ვბრუნდებოდი, ეს ჩვენი სახლი

არ არის-მეთქი, ვფიქრობდი. ამას, ყველაფერს, შენც გრძნობდი და სტამბოლიდან აქ დაბრუნება ამიტომ არ გინდოდა.

ფოტოგრაფი: არ ვიცოდი.

უფროსი ძმა: როცა ის ქალი პირველად ვნახე, ფერმაში ვიღაცის ახლობელი მეგონა. მასწავლებელი ყოფილა... ქმარიც მასწავლებელი ჰყოლია... მასწავლებელ ქალს ფერმაში, აბა, რა საქმე აქვს?

ტრიალ მინდორზე მიდიან. უკან გრძელი, ვიწრო მატარებელი გამოჩნდა. მატარებლის კივილი. ძრავის ხმაური...

უფროსი ძმა: მამამ თქვა, ამათ სკოლის გასათბობად შეშას ვაძლევო. მომთხოვნი ქალია, ხარჯების რვეულს სუფთად აწარმოებსო, ამბობდა. ყოველდღე დაიწყო ფერმაში სიარული.

უფროსი ძმა და ფოტოგრაფი ფერმაში შევიდნენ. ცხოველები დადიან, ტრაქტორის დიდი ბორბალი გდია, დაჟანგული თუნუქის ჯამები, ქოთნები... ძაღლების ყეფა...

ფერმის სახლი

ფოტოგრაფი მამის მაგიდასთან ზის.
თითქოს უნდა მამას გაუგოს.

გარშემო იხედება, ათვალიერებს. კუთხეში განიერი საწოლი... „ვიტას“ ფირმის თუნუქის ყუთებში ორი ყვავილი... გაზის ლამპა... მაგიდაზე ზარდახშა დევს, აღებს, შიგნით რვეულს ხედავს, იღებს, ფურცლავს. მასწავლებელი ქალის ლამაზი კალიგრაფია.

უფროსი ძმა შემოდის.

ფოტოგრაფი: ეს მისი რვეულია?

უფროსი ძმა თავს უქნევს.

ფოტოგრაფი: მართლაც ლამაზი ხელი ჰქონია.

უფროსი ძმა: მამაჩემს არ უნდოდა, რომ აქ მოვსულიყავი.

უფროსი ძმა იხრება და ჩვეული მოძრაობით მაგიდის ქვედა უჯრას აღებს... სადაფით მორთულ ყუთს იღებს და მაგიდაზე დებს. კოლოფს ხსნის, შიგთავსს აჩვენებს. ორი ჩიბუხის ტარი, უხმარი, ძველნაკეთი სანთებელა, დასაკეცი დანა, ძველებური, ძეწკვიანი საათი და პატარა კოლოფი.

უფროსი ძმა: აირჩიე!

ფოტოგრაფი ერთხანს დგას. სათუთად იღებს საათს ხელში.

ფოტოგრაფი: დანარჩენს ვტოვებ.

უფროსი ძმა: კარგი.

სანთებელას და დასაკეც დანას ჯიბეში იდებს. ფოტოგრაფი პატარა ყუთს ხსნის. ყუთიდან ქალის ფოტოს იღებს. სახე და თვალები გაშავებული და ამოკაწრულია... საშინელი შესახედია.

ფოტოგრაფი: შენ ჩაიდინე?

უფროსი ძმა: რა?

უფროს ძმას საზეზე ეტყობა, რომ ტყუილს ამბობს, ვერ მალავს. სურათიან კოლოფს ჯიბეში იდებს.

უფროსი ძმა: თუ ასე გაინტერესებს, დაბრუნებისას სკოლასთან გავივლით... გაჩვენებ...

უფროსი ძმა ოთახის მეორე მხარეს მიდის, იქედან ორი სანადირო თოფი მოაქვს...

უფროსი ძმა: მამა რომ ტყულის თქმას დაიწყებს, ის მამა ალარ არის. (თოფებს მაგიდაზე დებს) დედას უნდა, რომ ესენი სახლში მივიტანოთ.

მაგიდის უჯრიდან ცისფერლენტშებმული გასაღები ამოაქვს.

უფროსი ძმა: ესეც...

დაწყებითი სკოლა

დასახლების ცენტრიდან მოშორებით, ბუნებაში, რაღაც სახელმწიფო დაწესებულება დგას.

ბოძზე დროშა...

ბავშვები ბაღში „გაიქეცი, ბაჭიას" თამაშობენ...

მათთან ის მასწავლებელი ქალია.

ღია ფერის თმები.

მიმზიდველი, ლამაზი...

ძმები შორიდან უყურებენ.

უფროსი ძმა უმცროსს გვერდიდან ალმაცერად აკვირდება.

ბავშვების მხიარული ხმები.

მასწავლებელმა ქალმა თითქოს იგრძნო, რომ შორიდან უყურებენ, შემოტრიალდა.

ერთხანს ძმებისკენ იყურება.

მამის სახლში

ღამე. ფოტოგრაფი ლოგინზე წამოწოლილა. ხელში მამის ძეწკვიანი საათი უჭირავს და დიდხანს უყურებს. გარეთ სუსტი შუქი.
ძლიერი ქარი შიშველ ტოტებში ღმუის.
ფოტოგრაფი გვერდზე ბრუნდება, იძინებს.

ხიდი მდინარეზე

ორივე ძმა ხიდზეა.
უფროსი ძმა ჩამომჯდარა, ფეხები წყლისკენ გადაუყვია.
ფოტოგრაფი მის უკან დგას. წყლის ხმაური.

უფროსი ძმა: რომელიმე სახეს რომ უყურებ, ოცნებას ეძლევი... მაგრამ, როგორც კი თვალს გაახელ წამით, დახუჭვას ვერ ასწრებ, რომ ოცნება მაშინვე ქრება... ოცნება უკვე გონებაშია, მაგრამ, განა, ეს სწორია? ყოველთვის გვერდით უნდა იყოს და არა გონებაში... თუ არა და დაიწვას... რატომ არ წამოიღე ფოტოაპარატი?
ფოტოგრაფი: (ჩაფიქრებული) არ ვიცი.
უფროსი ძმა: ალბათ იფიქრე, ქალაქის ოცნებები ქაღალდზე რომ გადავიტანო, რა მოხდებაო, არა?
ფოტოგრაფი: (ერთხანს ფიქრობს) არა... (გადაწყვეტილებას უმხელს) ამიერიდან სტამბოლში არ დავბრუნდები...

მამის სახლი

საღამო.

სუფრას ფოტოგრაფი, დედა, უფროსი ძმა და რძალი უსხედან.

დედა: რომელ დედას არ უნდა რომ შვილმა ისწავლოს... მაგრამ არც ერთ დედას არ უნდა, რომ შვილმა მთვრალების ფოტოების გადაღებაში გალიოს სიცოცხლე. სტამბოლში წასული უნივერსიტეტს დაამთავრებდი, ადვოკატი გახდებოდი... მაგრამ, რადგან რჩები, ბარემ ძმას მოეხმარე... ახლა შვილებო და რძალო, რაღაცას გაჩვენებთ...

დედის უკან ორი ძმა, სამივე, მოყანყალებული კიბით მაღლა ადიან. საკუჭნაოში შედიან. ძველი ნივთები, ღუმელი, მაყალი, ხალიჩა, ყუთები, სკივრები, გალია...

დედა ოთახის ერთ-ერთი კუთხისკენ მიდის. სკივრს ნაპირისკენ ადვილად წევს, ხალიჩას იღებს. იატაკიდან ფიცარს იღებს.
უფროსი ძმისკენ ბრუნდება.

დედა: მოდი, ერთი ვნახოთ... ჩაყავი შიგ ხელი...
უფროსი ძმა ხელს სკივრში ჰყოფს.

დედა: კარგად ჩაყავი, კარგად...
უფროსი ძმა რაღაცას პოულობს.

დედა: ამოიღე ეგ, ამოიღე.

უფროსი ძმა პატარა ზარდახშას იღებს.
დედა მაგიდასთან ჯდება. ზარდახშას მაგიდაზე დებს.

დედა: მოიტა, ერთი, გასაღები.
დედა უფროს ძმას გასაღებს ართმევს. ზარდახშას ხსნის. ძმები ინტერესით უყურებენ.
დედა კმაყოფილი იერით ყუთიდან ხავერდის ქისას იღებს, ხსნის.
შიგთავსს მაგიდაზე ყრის. ოქროებია.

დედა: (უფროს ძმას) დათვალე, ერთი, რამდენია... (ფოტოგრაფს უბრუნდება) შენმა ძმამ იცის, ბაზრის უკანა მხარეს, მეჩეთისკენ, ცარიელი ადგილი რომ არის მშენებლობისთვის გამოყოფილი... მამათქვენის მამიდაშვილებისაა... ოცი წელი ხდება, ახლა უკვე აღარ დაბრუნდებიან... თუ იჩქარებთ, ამ ადგილს იაფად ვიყიდით...
უფროს ძმას უკვე დაუთვლია ოქროები.

უფროსი ძმა: ოცდაჩვიდმეტია.

დედა: კარგი... ერთხელაც დათვალე, ქისაში ჩადე. (ფოტოგრაფს უბრუნდება) შენი ძმა ამბობს, იქ დუქანი გავხსნათო. ეს საქმე შენთვის მომინდვია... ხვალ ავტობუსზე დავჯდები, მეორე დღეს მათ იპოვი, ოქროებს მიუთვლი (ჯიბიდან რაღაც ქაღალდს იღებს). ამ მისამართზე...

ფოტოგრაფი გაოცებული დაჰყურებს მისამართს, რომელიც დედას ხელში უჭირავს.
დედა უფროს ძმას ართმევს ქისას, თავს უკრავს, ფოტოგრაფს აწვდის.

დედა: ამ ქისაში ყოველი ჩვენგანის მომავალია, არ დაგავიწყდეს ეს...

ავტობუსში

ავტობუსის ფანჯრებში ხედები იცვლება.
ხეები.
ფოტოგრაფი ავტობუსშია.
ავტობუსი ღამეც აგრძელებს სვლას.

ავტობუსის გაჩერება

ავტობუსი მორიგ გაჩერებას უახლოვდება.
ფოტოგრაფი ავტობუსიდან ჩამოდის, მაგრამ სხვებივით სასადილოში არ შედის. მოწყენილი დადის.
წინ კაფეა. უახლოვდება.

შიგნით ხალხი ტელევიზორს უყურებს.
ფოტოგრაფი სიგარეტს უკიდებს. ის-ის არის უნდა გაბრუნდეს, რომ უცებ ჩერდება.

ქალის სახე...

ფოტოგრაფი ვერ ხვდება, საიდან და როგორ გაჩნდა ეს სახე. შემდეგ ამჩნევს, ანარეკლია სარკიდან თურმე. შიგნით, ტელევიზორს რომ უყურებენ, იმის ანარეკლი...

კაფე

ფოტოგრაფი კაფეში შედის.
ეკრანზე ქალის გამოსახულებას ადევნებს თვალს.
ქალის გრძნობით აღსავსე გამომეტყველება.

ფოტოგრაფი მოჯადოებულივით, გახევებული დგას.
სკამზე ჯდება.
ეკრანზე ქალს უყურებს.
ეკრანზე გამოსახულება იცვლება, მესაათე ჩნდება.
მესაათეს წინ, მაგიდაზე, საათი დევს.

ჰყვება.

> **მესაათე:** წლების განმავლობაში საათებში ვცხოვრობდი... საათის ჯადოსნურობა ჩემი ცხოვრების საიდუმლოდ იქცა... ერთ დღეს მივხვდი, რომ ამ საიდუმლოს ამოცნობა ჩვენი

სახის საიდუმლოს ამოცნობით შეიძლებოდა... ამგვარად, ჩემი სიზმრები სხვებისას შეერია... ამიერიდან არასოდეს დამავიწყდება... რადგან, საათი თუ გულთან ახლოა, ადამიანის სახე მაშინ ხდება მეტყველი...

ეკრანზე ხედები ჩნდება. სულთანის სურათები... საათის წიკწიკი...

ფოტოგრაფი კაფეში ჩაფიქრებულ, სევდიან მაყურებელთან ერთად ეკრანზე ამ გამოსახულებებს უყურებს.

გარედან საყვირის ძლიერი ხმა ისმის, მაგრამ ფოტოგრაფი ადგილიდან არ იძვრის.
წამით გარეთ იხედება. შემდეგ მზერა ისევ ეკრანზე გადააქვს.
ისევ ისმის საყვირის ხმა.
ავტობუსი იძვრის, გაჩერებას შორდება.
იმ წამსვე ეკრანზე ჩანაწერი მთავრდება. ცარიელი ეკრანის თვალისმომჭრელი შუქი. კაფეს მეპატრონე ტელევიზორს უახლოვდება. ვიდეო-აპარატიდან კასეტას იღებს, ყუთში დებს და ვიღაც ფარაჯიან კაცს აძლევს, რომელიც მოულოდნელად საიდანღაც გაჩნდა.

ფოტოგრაფი თვალს აყოლებს ამ კაცს. მას მიჰყვება. ფარაჯიანი კაცი სატვირთო მანქანას მიუახლოვდა, ფოტოგრაფი სწორედ მაშინ წამოეწია.

ფოტოგრაფი: ერთი წამით!
ფარაჯიანი კაცი: ბატონო?
ფოტოგრაფი: წელან რომ ვუყურებდით... შენია?
ფარაჯიანი კაცი: (დაეჭვებით) რატომ მეკითხები?
ფოტოგრაფი: ყიდვა მინდა... გაყიდი?
ფარაჯიანი კაცი: ვერა, მომაბარეს.
ფოტოგრაფი: კარგად გადაგიხდი.
ფარაჯიანი კაცი: ჩემი არ არის-მეთქი, გითხარი. ამის პატრონი ქალაქშია.

კასეტას ჯიბეში იდებს.

გზად ქალაქისკენ

სატვირთო მანქანა სიბნელეში მიიწევს წინ. ფარაჯიანი კაცი საჭესთან ზის, ფოტოგრაფი მის გვერდითაა... უკაცრიელი და ბნელი ღამე.

ფოტოგრაფი: ვისია?
ფარაჯიანი კაცი: ახლავე ნახავ.

სიჩუმე. ხეები შემაძრწუნებელ ღამეში.

ფარაჯიანი კაცი: ოცი წელია, ღამ-ღამობით აქ მოვდივარ და მაინც მეშინია.

უცხოთა ქალაქი

სატვირთო მანქანა ქალაქის მთავარ ქუჩაზე. ქუჩებში სულიერის ჭაჭანება არ არის... ისეთი სიბნელეა, კანკალი აგიტანს.

სატვირთო მანქანა სხვა ქუჩაზე უხვევს. მიტოვებული ქალაქი.

სატვირთო მანქანა მექანიკოსთა ბაზრისკენ მიდის. უცნაური, შიშისმომგვრელი სახლები... სატვირთო მანქანა ერთ-ერთი სარემონტო სახელოსნოს შორიახლოს ჩერდება.

ფარაჯიანი კაცი მანქანიდან გადმოდის.

ფარაჯიანი კაცი: აქ დაველოდე!

ფარაჯიანი კაცი სახელოსნოში მაგიდასთან მსხდომ კაცებს უახლოვდება. ისინი ესალმებიან. მაგიდასთან მჯდარ მოტეხილ, მრავლისმნახველ ქალაქის მესაათეს უახლოვდება.

ფარაჯიანი კაცი: აი, აიღე, შენი კასეტა მოგიტანე.

ვიდეო-კასეტას ქალაქის მესაათეს აძლევს. ყურში ფოტოგრაფზე ჩასჩურჩულებს, მანქანაში რომ ელოდება.

ქალაქის მესაათე: (მაგიდის წევრებისგან ნებართვას იღებს) ერთი წუთით, მომიტევეთ...

მაგიდიდან დგება. ვიდეო-კასეტას პიჯაკში იდებს. ნელ-ნელა მანქანას, ფოტოგრაფს უახლოვდება. ერთხანს მას ახლო მანძილიდან უყურებს.
დაძაბული წამია.

ქალაქის მესაათე: ჩემს სახელოსნოში შევიდეთ, ვისაუბროთ.

ფოტოგრაფი და ქალაქის მესაათე ბნელ და ცარიელ ქუჩაში მიდიან.

ქალაქის მესაათე: რად გინდათ ეს ასე ძალიან?

ფოტოგრაფი: (ჩაფიქრებული) ძნელია ამის ახსნა.

ქალაქის მესაათე ხვდება, რომ რაღაც საინტერესოსა და იდუმალებით მოცულზე დაიწყო საუბარი, თავს უქნევს.

ქალაქის მესაათე: მესმის, ძნელია! (თავის თავში დარწმუნებული) ის ქალი ჯერ სიზმარში ნახე, არა?.. მე ჯერ დამესიზმრა, მერე ჩემს სახელოსნოში მოვიდა...

ქალაქის ცარიელ და ჩაბნელებულ ქუჩაში გაფუჭებული ლამპიონის შუქი. განათებულ ვიტრინაში თოჯინა...

შორიდან დარაჯის ხმა მოისმა.
ქალაქის მესაათეს სახელოსნოდან და სასტუმროდან ქუჩის საერთო ხედი. უკაცრიელობის, მარტოობის, სევდის განწყობა.

ფოტოგრაფი და ქალაქის მესაათე სახელოსნოში ერთმანეთის პირისპირ სხედან. მაგიდაზე დგას რახის ბოთლი, თითო-თითო ჭიქა, ცოტა ბარდა...

> ქალაქის მესაათე: სიზმრად ბაზარში ვიყავი... რა გინდა, სულო და გულო, იქ არ ყოფილიყო: გემრიელი საჭმელი თუ ნაირ-ნაირი ტანსაცმელი, საუკეთესო აბრეშუმის ქსოვილები... რა აღარ იყო... გავიხედე, ერთ დუქანში სიცოცხლეს ყიდიან... რომელიც მოგეწონება, იმ სიცოცხლეს ირჩევ და იმ სულის სახე შენი სახე ხდება, ამის მერე ბედნიერად ცხოვრობ... მეც იმ სახეს ვირჩევ, რომელიც მომწონს და უცებ ჩემ წინ ქალი ჩნდება... მივხვდი, რომ ანგელოზია... მითხრა: „მესაათე, კარგად დაფიქრდი? აქედან უკან დასახევი გზა აღარ არსებობს“... შემეშინდა. გაოფლიანებულს გამომელვიძა. შუადღისას ის ქალი ჩემ წინ გაჩნდა... აქ, სახელოსნოში, თითქოს ენა დამება. რა უცნაური სახელოსნოა, რა უბადრუკ მდგომარეობაშიაო, თქვა...

გარეთ დარაჯის სასტვენის ხმა გაისმა.
ფოტოგრაფი ჩაფიქრებული, ყურადღებით უსმენს.
მესაათეს სახელოსნოში საათების წიკწიკი.
პატარა, ღარიბული სახელოსნოა.
საათებიც კი შეუხედავია.
უკან ტელევიზორის ეკრანი.

ქალაქის მესაათე: ეგ საათი უყვარდა, ეფერებოდა... ძალიან ლამაზი საათიაო, ამბობდა, მაგრამ გაფუჭდა, რადგან სული დაკარგაო. მხოლოდ შენ შეგიძლია, შეაკეთოო, მითხრა. კარგი, შენთვის შევაკეთებ-მეთქი, ვუთხარი... გაიღიმა და დასტა ფული ამოიღო, ბევრი ფული... ისევ გაიღიმა... (სამუშაო მაგიდიდან ვიდეოკასეტას იღებს) ეს დატოვა, გიტოვებო, თქვა. უყურე, სიზმრები გაგახსენდებაო... რაც სახეზე დაკარგე,იმას იპოვიო... სხვებმაც უყურონ,იმათაც გაახსენდებათო... მაშინვე ვუყურე, მეგობარო, სხვებსაც ვაყურებინე, მაგრამ ვერაფერი გავიგე. საათიც ვერ შევაკეთე.

ფოტოგრაფი: როდის მოვალო, არ უთქვამს?

ქალაქის მესაათე: საათს როდის შეაკეთებო, მკითხა... დიდი-დიდი ერთ თვეში-მეთქი, ვუთხარი... მაგრამ ჯერაც ვერ შევაკეთე... ვცდილობ, რამე მოვუხერხო. ისევ მოვალ, ამ ნივთს უპატრონეო, დამიბარა. (სახელოსნოს კარებს უყურებს) ცისფერ მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

ფოტოგრაფი: ცისფერი იყო, არა?

ქალაქის მესაათე: სიზმრისეული ცისფერი... ალბათ, ის ქალი შენც სიზმარში გამოგეცხადა, მისი სახე რომ ნახე, მაშინვე იცანი, არა?

ფოტოგრაფი ყოყმანობს, ვერ პასუხობს.

ქალაქის მესაათე: რაღაც საიდუმლო აქვს, ვერ უარვყოფ... მაგრამ ეს კასეტა მობარებულია... თუ ბევრი ფული არა გაქვს, მაშინ საერთოდ...

ფოტოგრაფი: (აწყვეტინებს) ოქროს მონეტები მაქვს, ხვალ გადავახურდავებ...

ქალაქის მესაათე: (ინტერესით) მაჩვენე, ერთი...

ფოტოგრაფი გულის ჯიბეში ქისას ხსნის, ერთ მონეტას იღებს და ქალაქის მესაათეს აწვდის. ქალაქის მესაათე მონეტას ართმევს, უნდა დარწმუნდეს, ნამდვილია, თუ არა. ფოტოგრაფის ქისას უყურებს.

ქალაქის მესაათე: ათი ცალი მინდა... ძალიან საპასუხისმგებლო...

ფოტოგრაფი მერყეობს.

ქალაქის მესაათე: კარგი, იყოს ცხრა...

ფოტოგრაფმა რვა ოქრო მიუთვალა, მესაათე ყურადღებით ადევნებს თვალს.

მზრუნველობით გახვეულ ვიდეო-კასეტას აწვდის.

ქალაქის მესაათე: არც მე გიცნობ და არც შენ გიყიდია ეს ჩემგან.

ფოტოგრაფი წამოდგა.

ქალაქის მესაათე: ცოტა ხანს დარჩენილიყავი...

ფოტოგრაფი: სად არის აქ სასტუმრო?

ქალაქის მესაათე: ზუსტად სახელოსნოს წინ... (ტელევიზორსა და ვიდეო-აპარატზე უთითებს) ესეც იყიდე... იაფად დაგითმობ, ახლავე უყურე შენს ოთახში...

სასტუმრო მესაათეს სახელოსნოს პირდაპირაა.
ღამე, სასტუმროს საერთო ხედი.
ფოტოგრაფის ოთახში შუქი ანთია.

სასტუმროს ოთახში

ფოტოგრაფმა კასეტა ვიდეო-აპარატში ჩადო და ეკრანს უყურებს. ქალის სახე მთელ ეკრანს ფარავს... აი, რაღაც შუქით განათებული მისი სხეული ჩანს... საათის გაბმული წიკწიკი ისმის. ქალის მგრძნობიარე სახე ტკივლითა და რაღაც ღრმა განცდით არის დამძიმებული.

ქალი: წლების წინ, ერთ თოვლიან საღამოს მამამ ერთი ამბავი მიამბო... ერთ დროს, ყველასგან მივიწყებულ ერთ მწუხარე ქვეყანაში, ცხოვრობდა მამა თავის პატარა გოგონასთან ერთად. მამას ძალიან უყვარდა თავისი შვილი და უნდოდა, რომ მას სულ სხვანაირი ცხოვრება ჰქონოდა... როცა მისი გოგო გაიზრდებოდა და დიდი ქალი გახდებოდა, კაფის მთის მიღმა ჩიტს

იპოვიდა და მაშინ ერთმანეთის მსგავსი უბედურებების საიდუმლოს გამოიცნობდა... პატარა გოგონა უსმენდა მამას და მის ლაპარაკში იძინებდა. სიზმარში კი, ამას, ყველაფერს, ერთმანეთის მიყოლებით აკეთებდა... მაგრამ დილით, როცა იღვიძებდა და აღმოაჩენდა, რომ ისევ ის პატარა გოგო იყო, წუხდა... ვინ იყო ის გოგო, დიდი ხნის მერე გავიგე. ერთ დილას, როცა თოვდა, როცა იმ ზრდასრულ ქალად გავიღვიძე... როდესაც დავსახლდი ქალაქში, რომელიც საათის კოშკის ქვეშ იყო გაშენებული... დარდის მთხრობელებთან ერთად ერთმანეთის ძებნა ასე დავიწყეთ... ნათქვამია, ჩვენი სახე რუკაა, ამბავი კი — მაგიდაზე დადებული ჩვენი სული.

უცხოთა ქალაქის ბაზარი

დილა.
ფოტოგრაფი ბაზარში მიდის.
ყასაბი დანებს მლესავს აწვდის.
ფოტოგრაფი გაზეთების გამყიდველთან მიდის. ერთ შეკვრა გაზეთს ყიდულობს და მიდის. სასტუმროში რომ ბრუნდება, ისევ ხვდება ყასაბს და მლესავს...

სასტუმროში

ფოტოგრაფი სასტუმროში შედის.
მორიგეს გასაღებს ართმევს.

მორიგმ: კიდევ რამდენ ხანს აპირებთ დარ-
ჩენას?

ფოტოგრაფი: ერთი-ორი კვირა, არ ვიცი.
ოთახში ადის.

ფოტოგრაფი სასტუმროს ნომერშია. ფანჯრიდან მესაათეს სახელოსნოს გაჰყურებს. მაგიდას ფანჯარასთან მიათრევს. მაგიდასთან სკამს დებს. ჯდება. ოდნავ წინ წევს. ამ ადგილიდან მესაათეს სახელოსნო უკეთ ჩანს. უფრო კარგად რომ დაინახოს, სკამიდან იწევა.

იმ რაკურსიდან, საიდანაც ფოტოგრაფი იყურება, სახელოსნოს ხედი ჩანს.

ქალაქის მესაათე კარებთან გამოჩნდა, რაღაცას უშვერს მზის სინათლეს, აკვირდება. წამით ფოტოგრაფს გახედა, სასტუმროს ოთახის ფანჯრიდან რომ უყურებს მას. ფოტოგრაფი აგრძელებს მესაათეს სახელოსნოს თვალიერებას...



დილა.

ქალაქის მესაათე ქალის მიერ დატოვებული, გაფუჭებული საათის შეკეთებას ცდილობს.

კარი იღება და შემოდის ფოტოგრაფი. იღლიაში გაზეთები, ჟურნალები აქვს ამოჩრილი... ქაღალდის პარკში საჭმელი...

ფოტოგრაფი: რაიმე ახალი ხომ არ არის?

მესაათე: არა... ვცდილობ, ამას რაიმე ნაწილი მივუსადაგო... ეს ის არაა, რაც სჭირდება, მაგრამ ალბათ მაინც იმუშავებს... დაჯე...

ფოტოგრაფი: რა დროს მოვიდა მაშინ?

მესაათე: თორმეტსა და პირველს შორის, შუადღისას...

ფოტოგრაფი: საიდან მოვიდა, არ უთქვამს? ქალაქი, სადაც საათის კოშკია...

მესაათე: საერთოდ არაფერი უთქვამს.

ხანმოკლე დუმილი. მოწიკწიკე საათები...

ფოტოგრაფი: აქ, ამ ქალაქში როგორ გადის დრო?

ქალაქის მესაათე: (უგულოდ) არ გადის!.. აქ სიკვდილამდე დროის გასვლას უნდა ელოდო...

სასტუმროს ოთახი

ფოტოგრაფი ფანჯარასთან ზის, კროსვორდს ავსებს, თან გარეთ იყურება. დროდადრო მამის დანატოვარ

საათს დაჰყურებს... ოთახს და მაგიდას ეტყობა, რომ ფოტოგრაფმა ბევრი დღე გაატარა ასე მაგიდასთან ჯდომასა და მესაათეს სახელოსნოს ყურებაში. საფერფლე პირამდე სავსეა... საწოლზე უამრავი გაზეთი, ჟურნალი... მაგიდაზე ფორთოხლის ქერქები...
კარზე აკაკუნებენ. ფოტოგრაფი თავს ატრიალებს.

ღია კარიდან დამლაგებელი ქალი შემოდის.

ДАМЛАГЕБЕЛИ: ოთახს დავალაგებ.

ФОТОГРАФИ: (უხალისოდ) იყოს, შეეშვი.

დამლაგებელი გაკვირვებული გადის.
ფოტოგრაფი ოთახის კარს საგულდაგულოდ კეტავს.

ღამე.

ცარიელი და უკაცრიელი სასტუმრო. სევდიანი გარემო.

ფოტოგრაფი თავის ოთახში ტელევიზორის პირდაპირ დგას. ეკრანზე ქალის გამოსახულება. მის გვერდით, ეკრანზე ფოტოგრაფის გრძნობით აღსავსე გამომეტყველება ირეკლება... ფოტოგრაფი ქალთან ერთად იმეორებს მის მონაყოლს. ეტყობა, რომ კასეტის ყურებაში ქალის ამბავი გაუზეპირებია.

ქალი და ფოტოგრაფი: ერთ დილას, როცა თოვდა, როცა იმ ზრდასრულ ქალად გავიღვიძე... როდესაც დავსახლდი ქალაქში, რომელიც საათის კოშკის ქვეშ იყო გაშენებული... დარდის მთხრობელებთან ერთად ერთმანეთის ძებნა ასე დავიწყეთ... ნათქვამია, ჩვენი სახე რუკაა, ამბავი კი — მაგიდაზე დადებული ჩვენი სული.

ღამე. სასტუმროს მთლიანი ხედი.
ეკრანზე ქალის გამოსახულება ქრება.
ფოტოგრაფი ისევ კასეტას უყურებს.
ქალის ძალიან მგრძნობიარე სახის გამომეტყველება.
მის სახეზე დარდი, ღრმა სევდა.
ქალის მზერა ნელ-ნელა ქვევით ინაცვლებს.
მის წინ სკამზე მესაათე ზის.
ქალი მას მხრებზე ხელებს მეგობრულად ადებს.
მესაათე თავის ფიქრებში ჩაფლულა...

დილა... ფოტოგრაფი სიგარეტის ნამწვავებით, გაზეთებით, ქაღალდის ამონაჭრებით სავსე მაგიდასთან საქმიანობს.
გაზეთებიდან სახეებს ჭრის. შემდეგ ამ ამონაჭრებს, ქალის მსგავსად, გამადიდებელი შუშით აკვირდება. შემდეგ სხვა ამოჭრილ სახეს უყურებს. პირში სიგარეტი. ფანჯარასთან დგას, გარეთ მესაათეს სახელოსნოს უყურებს.
ქალაქის მესაათე დიდი, ლამაზი საათით ხელში სახელოსნოდან გამოდის.
სასტუმროსკენ მიდის.
ფოტოგრაფი ფანჯარას მოშორდა. ვიდეო-აპარატი ჩართო და ეკრანზე ქალის ყურება დაიწყო.
ჩვეული მოძრაობით საწოლის კიდეზე ჯდება.
კარზე აკაკუნებენ.
ფოტოგრაფი კარს აღებს.
ქალაქის მესაათე იღლიაში ამოჩრილი საათით შემოდის ოთახში, ჩანს, ცხოვრებით კმაყოფილია.
ფოტოგრაფი დაინტერესდა საათით, ართმევს.



ტელევიზორის ეკრანზე ქალი ამბის თხრობას განაგრძობს.

ქალი: როცა ქალაქში დავსახლდი, რომელიც საათის კოშკის ქვეშ იყო გაშენებული...

ქალაქის მესაათე დიდ საათს მაგიდაზე დებს.

ქალაქის მესაათე: საათი შევაკეთე.

საათს უხმოდ რთავს. ცოტა ხანს იცდის, საათი ხმას არ გამოსცემს.

ქალაქის მესაათე: წადი, რაღა!

საათს შეუჩხიკინა, ისარი იძვრის.

საათიდან ცნობილი მელოდია ისმის. რაღაც ჯადოსნური, ბედნიერების წამი... ქალაქის მესაათე კმაყოფილია.

ფოტოგრაფი: როგორ შეაკეთე?

მესაათე: რაღაცები მოვუძებნე და... დანარჩენი უკვე მისი საქმეა. ველარ გავიგე. ერთი თვე გავიდა, ჯერაც არ მოსულა...

ფოტოგრაფი: ერთი თვე და ოთხი დღე...

მესაათე: ყოველ დღე, თორმეტიდან პირველამდე, მეც მოუსვენრობა მიპყრობს ხოლმე... კიდევ მოვალო, თქვა... სიზმრიდან მოვლენილივით მოვა.

ქალაქის მესაათე ბრუნდება, ტელეეკრანს უახლოვდება. ეკრანზე სახეები და სურათები ჩნდება... ინტერესით და შიშით უყურებს.

მესაათე: რა არის ამ ყველაფრის სიბრძნე? ადამიანის გონება ვერ ჩაწვდება ამას. ოცნებები, სიზმრები, საათები...

ეკრანზე ქალის ჯადოსნური გამოსახულება...

ქალაქის მესაათე: ვინმე გყავს?

ფოტოგრაფი: მყავს, მელოდებიან.

მესაათე: მოდი, წავიდეთ, ცოტა გავისეირნოთ... მეგობრები მყავს...

უცხოთა ღამე

ღამე.

შიშისმომგვრელი და მიტოვებული საწყობის შენობა... საათამოჩრილი ქალაქის მესაათე და ფოტოგრაფი ძველ შენობაში შედიან...

საწყობი საკმაოდ განიერია... ზემოდან ორი შიშველი ნათურა ანათებს. ერთ მხარეს სარეცხია გაფენილი...

ერთი მაგიდა, რამდენიმე ტაბურეტი. გატეხილი, დანჯღრეული სკამები... ბრეზენტგადაფარებული, უცნაური იარაღები. ღუმელი, სამფეხი, რამდენიმე სკივრი, ძველი კარადა. ზედაც უფრო ძველი რადიო. მაგიდის თავში ორი კაცი ზის: წყალკანალის თანამშრომელი და მისი სულიერი მეგობარი. ქალაქის მესაათე მათ ფოტოგრაფს აცნობს, რაღაც გაუგებარი ჟესტებით და მეგობრული გრძნობით.

ქალაქის მესაათე: გამარჯობა. ეს მეგობარი წყალკანალის თანამშრომელია...

წყალკანალის თანამშრომელი: გამარჯობა... ოთხი წელია... მთავრობამ თქვა, წყლის საკითხებს გადავჭრიო. ერთ დღეს ინჟინრები, პოლიტიკოსები, ყველანი ერთად მოვიდნენ. წამოიწყეს საქმე. ერთი კვირის შემდეგ დარაჯად დამტოვეს და წავიდნენ. სადარაჯო კი არაფერია. დავავიწყდი აქ ყველას.

ქალაქის მესაათე: მაგრამ ყოველ თვე ვილაეთში მიდის, ხელფასს იღებს...

წყალკანალის თანამშრომელი: მჯერა, ოდესმე გამიხსენებენ.

ქალაქის მესაათე მეორე კაცზე ანიშნებს.

პატარა, ულიმღამო კაცია.

ღუმელზე მდგარ დოქს ანჯღრევს.

ქალაქის მესაათე: ეს ამხანაგი კი მისი სულიერი მეგობარია.

სულიერი მეგობარი: გამარჯობა.

თავმდაბლურად ესალმება.

საწყობის საერთო ხედი, ამ გადაკარგულ ადგილზე გაპარტახებული საცხოვრებელი სახლები მოჩანს. მაგიდაზე დევს პური, ქოთანი, ძველი, გატეხილი თეფში, ჩანგალი, დანა, რახის ბოთლი და ჭიქები.
ერთ მხარეს სკივრი, ზედ საათი... მაგიდას ოთხივე მხარეს უსხედან.

სულიერი მეგობარი გულღიად და მღელვარედ ჰყვება.

სულიერი მეგობარი: ექიმები კაცს ყველანაირ წამალს ასმევდნენ, მაგრამ კუჭის ტკივილმა არ გაუარა. როდესაც კაცი მოკვდა, კუჭი გაუჭრეს და რას ხედავენ... ქვასავით მაგარი ხის ფესვი ჩაზრდილა კუჭში... მისმა ვაჟმა ხის ფესვი სუვენირად წაიღო, მამაჩემისგან მექნებაო, თქვა და დასაკეც დანას ტარად გაუკეთა... წლების მერე ამ დანით ბოლოკს მოვჭრიო, ამბობს. ბოლოკს რომ ეხება დანა,

ტარი უქრებაო (დუმილი). ანუ, ექიმებს კაცისთვის ბოლოკის ჭამა რომ დაენიშნათ, არ მოკვდებოდა თურმე.

ქალაქის მესაათე: (არ აინტერესებს) ამ კვირას ლოტოში ერთმა ცამეტს გამოჰკრა ხელი...

სულიერი მეგობარი: ზემო სოფლებს მგელი შეეჩვია, ერთი ქვრივი გაუტაცია.

ქალაქის მესაათე: შენ არ თქვი, დათვიო...

წყალკანალის თანამშრომელი: მგლები უკვე აქაც მოდიან.

ხანმოკლე დუმილი, მოწყენილობის განცდა.
ქალაქის მესაათე ჯიბიდან ბანქოს იღებს, პიკის ქალს აჩვენებს.

ქალაქის მესაათე: მოდი, ბანქო ვითამაშოთ.

ბანქოს თამაშობენ. მაგიდაზე ჭიქები, ფული, ბანქოს ქაღალდი... სულიერი მეგობარი იგებს, დასტა ფულს აგროვებს. ფოტოგრაფი ისევ იღებს ფულს ჯიბიდან... წყალკანალის თანამშრომელი ბანქოს მონდომებით ურევს. ისევ სულიერი მეგობარი იგებს. ფოტოგრაფმა ერთი ყლუპი რახი მოსვა.
ქალაქის მესაათე რაც უფრო აგებს, მით უფრო ნერვიულობს.

ქალაქის მესაათე: (ფოტოგრაფს) შენც აგებ, მაგრამ ფეხებზე გკიდია... იმიტომ, რომ ოქროების ქისა გაქვს... როცა ფული გაქვს, ყოველთვის თავდაჯერებული ხარ.

გარედან მათ თეთრწინსაფრიანი ორი კაცი უახლოვდება, თოკით ცხენი მოჰყავთ. სიბნელეში საშინელი სანახავები არიან.

ნალის კაკუნის ხმა...

სულიერი მეგობარი ისევ იგებს. ფულს აგროვებს. ნალების ხმა კიდევ უფრო გარკვევით ისმის.

ქალაქის მესაათე: ალაჰმა დასწყევლოს! ყასბები!

ყასაბი, მისი დამხმარე და მათ უკან ცხენი საწყობის შენობაში შედიან...

წყალკანალის თანამშრომელი: (თავით ფოტოგრაფზე ანიშნებს) უცხო არ არის, ჩვენიანია.

როცა ყასბებმა ცხენი მათ გვერდით ჩაატარეს, სულიერი მეგობარი ფეხზე წამოდგა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცხენს თვალები აუხვია. ცხენი გაძვალტყავებული, ბებერი და უბადრუკია.

სულიერი მეგობარი: დახუჭე, ჩემო კარგო, თვალები, დახუჭე. ჩემო დარდიანო ცხენო, დახუჭე, ჩემო სევდიანო... აქ დასანახი არაფერია.

ფოტოგრაფი უკანა მხარეს გაყვანილ ცხენს თვალს ყურადღებით ადევნებს.

ქალაქის მესაათეს ბანქოში ჩაურგავს თავი.

ცხენი ფარდის უკან გაიყვანეს.

ისმის დავარდნის ხმა. ბუნდოვანი ჭიხვინი.

ქალაქის მესაათე: (გაბრაზებით, ნერვიულად) დასწყევლოს ღმერთმა! ქაღალდივით...

წყალკანალის თანამშრომელი: ქაღალდს ნუ ელაპარაკები... ნუ ელაპარაკები!

ქალაქის მესაათე: ვლაპარაკობ იმიტომ, რომ ქედმაღალი არ ვარ... მე ადამიანი ვარ, ჩემ გულს საკუთარ საიდუმლოებს ვუხსნი, მეგობარო!

გარედან, შუქზე ბუნდოვნად ჩანს, როგორ კლავენ ყასბები ცხენს ფარდის უკან.
ფოტოგრაფი ვერ უძლებს, მაგიდიდან დგება, შორდება... კუთხეში, სამფეხაზე, ძველ რადიოზე ტალღების ძებნას იწყებს. საიდანღაც ისმის მუსიკა, სულ სხვა ქვეყნიდან, სადაც მხიარული ცხოვრებაა. ყასაბი ფარდიდან გამოდის. წინსაფარზე სისხლიან დანას იწმენდს.
ფოტოგრაფი ესალმება.

ყასაბი: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

სათამაშო მაგიდა აშლილია. ქალაქის მესაათე დიდ, ლამაზ საათს იხუტებს. ისმის საათის მელოდია.
წყალკანალის თანამშრომელი მარტო, მაგიდასთან თამაშის შედეგებს ყურადღებით და ინტერესით ანგარიშობს.
უკან ყასაბი და სულიერი მეგობარი თეთრეულს იღებენ და გასაუთოვებლად ამზადებენ...
ფოტოგრაფი მათ შორიდან უყურებს. მთვრალია, დარდიანი...
ქალაქის მესაათე საათს ისევ ამღერებს... მელოდია უცებ წყდება, საათი გაფუჭდა.
ქალაქის მესაათე გრძნობას აყოლილი საათს ანჯღრევს.

ქალაქის მესაათე: ოი, ალაჰ!

გაფუჭებულ საათს დებს.

მთვრალია. ხის სკივრზე გაიჭიმა. თავი სკივრზე იატაკისკენ გადაუგდია. ხელით უცნაურ მოძრაობებს აკეთებს. ნამთვრალევი ხმით ბოდავს.

ქალაქის მესაათე: სამყაროს რომ შიგნიდან შეხედო, ყველა ლამპა საფერფლე იქნება, ყოველი მაგიდა — ხე და ყოველი სარკე — თავი... (ფოტოგრაფს) ჩემი მეგობარი იმ დრომდე მოიცდის? თავდაჯერებულია... თავდაჯერებულები იცდიან... რადგან ყოველთვის აქვთ ის, რაც უნდათ... ვისაც უნდა, რომ დაელოდოს, დაელოდოს, მაგრამ მე არ დაველოდები!

დაღონებული ფოტოგრაფი ქალაქის მესაათეს თვალს ადევნებს.
წყალკანალის თანამშრომელი გულმოდგინედ აგრძელებს ბანქოს შედეგების ანგარიშს...

ქალაქის მესაათე: ლოტოს შედეგებს არ დაველოდები... ღამეს არ დაველოდები... საათებს არ დაველოდები... ქალებს არ დაველოდები...

ფოტოგრაფი აგრძელებს თავისი ამბის თხრობას

ფოტოგრაფი: (ხმა) მარტო მოლოდინის დღეებში კი არა, ჩემი ამბის დამთავრების შემდეგაც სულ ამაზე ვფიქრობდი.

დილა. კადრში სასტუმროსკენ მომავალი ფოტოგრაფი. ქალაქში სიცარიელე. სევდა. მარტოობის გრძნობა.

ფოტოგრაფი: (ხმა) რატომ ვიყავი დარწმუნებული, რომ ქალი სწორედ ამ ქალაქში მოვიდოდა?.. რისთვის ველოდებოდი?.. რას?..

ქალაქში ქარი... გაფანტული ფოთლები, ქაღალდები...

ფოტოგრაფი: (ხმა) ახლა ვხვდები, მაშინ, როცა ქალის გამოჩენას ველოდებოდი, მთელი ქვეყნიერება ჩემს გარშემო როგორ შეიცვალა. სახლში დედასთან და ძმასთან დაბრუნების იმედი გადამეწურა. ზუსტად ოთხი თვე და თოთხმეტი დღე ველოდი იმ ქალს. გრძელი ზამთრის ბოლო დღეები იყო. ჩემი უკანასკნელი ოქროს მონეტაც გადავახურდავე.

ხეებში ჩაფლულ, ნესტიან გზაზე ქალის ცისფერი მანქანა სწრაფად მიიწევს წინ... თითქოს სიზმარშია, სად არის, ვერ გაუგია...

შეხვედრა სასტუმროს წინ

ფოტოგრაფის ოთახი.
თვეების განმავლობაში გაზეთებიდან, ჟურნალებიდან ასობით, ათასობით ამოჭრილი სახით აჭრელებულ კედლებს სასტუმროს ოთახი რაღაც შემაძრწუნებელ ადგილად გადაუქცევია.

ყველგან გაზეთების, ჟურნალების, ალბომების გროვა...
მუდმივად ჩართული ტელევიზორი...

ფოტოგრაფი მაგიდასთან ზის...
თმააბურძგნული, გაუპარსავი, მოტეხილი...
საკმაოდ გამოცვლილია...
ფანჯრიდან გარეთ, მესაათეს სახელოსნოს, ისევ ინტერესით უყურებს.

მესაათეს სახელოსნოს ხედი სასტუმროს ფანჯრიდან...
კარი იღება და სახელოსნოდან ორი ადამიანი გამოდის. ერთს, ხელში დიდი, ლამაზი საათი რომ უჭირავს, ქალაქის მესაათეა, მეორე – ვიღაც ახოვანი კაცი...
სასტუმროსკენ მოდიან.
ფოტოგრაფი მათ მხოლოდ უყურებს, არ აინტერესებს. თავის სამყაროში ჩაფლულა.

კარზე აკაკუნებენ.
ფოტოგრაფი დგება. იქვე გაზეთების გროვასა და ნაგავს იღებს და კარს აღებს.

დამლაგებელი ქალი: ნაგავს წავიღებ.

ფოტოგრაფი დაჭრილ გაზეთებსა და ნაგავს უწვდის.

დამლაგებელი ქალი: დავალაგებდი...

ფოტოგრაფი: იყოს...

ფოტოგრაფი დამლაგებელ ქალს კარს ცხვირწინ უკეტავს. დამლაგებელი ქალი ხელში ნაგვის გროვით

გაშეშებული დგას, თავისთვის ბუზღუნებს. ერთ ხელში გაზეთების გროვა, მეორეში – ნაგვის ყუთი. კიბეზე ნელ-ნელა ჩადის. დაჭრილი გაზეთების გროვას სასტუმროს ჰოლში სადგარზე დებს.
სწორედ ამ წამს მუსიკა გაისმის. ლამაზი, დიდი საათის მელოდიაა... მაგრამ გაბზარული მელოდია. დამლაგებელი ქალი საფერფლეს იღებს, რათა ნაგავში ჩაცალოს სიგარეტის ნამწვავები. ამ დროს ჩანს, რომ ოთახში ქალი და ქალაქის მესაათე ერთმანეთის პირისპირ სხედან. მათ წინ, სადგარზე, დიდი, ლამაზი საათი დგას. ქალაქის მესაათე ღონემიხდილი დამნაშავესავით გამოიყურება, გაფუჭებული საათის გაბზარული მელოდია წყდება.

ქალი საათს ავადმყოფი ბავშვივით ეფერება.

ქალი: არ გეწყინოს, მაგრამ არ არის შეკეთებული, შენ ეს საათი უფრო მოკალი... სული ვერ განუახლე...

ქალაქის მესაათე: ძალიან ბევრი ვეწვალე... ერთხანს, რომ იცოდე, რა ლამაზად უკრავდა...

ქალი: (სევდიანად ამოიხვნეშა) ამ მესაათეს სახელოსნო პატარა, მაგრამ რა სევდიანია-მეთქი, ვიფიქრე... ჩემს დატოვებულ კასეტას უყურე და შეაკეთე-მეთქი, გითხარი.

ქალაქის მესაათე სირცხვილისგან იწურება, იბუზება.

ქალი: კასეტას არ უყურე?

ქალაქის მესაათე: კასეტას? (არ უსმენდა, იბნევა) კარგად ვერა...

ქალი ბრაზდება.
მობეზრდა მასთან ყოფნა.
დგება. ბოლთას სცემს.

ქალი: მესაათე, შენ ჩემს საათს ზურგი შეაქციე.

ქალაქის მესაათე: (გაოცებული, დარცხვენილი) მე არა...

ქალი: როგორ?

ქალაქის მესაათე: ერთმა ყმაწვილმა... ერთხელ უყურა და მოჯადოვდა...

ქალი დამლაგებელი ქალის მიერ სადგარზე დადებულ გაზეთის ამონაჭრებს, სახეებს ამჩნევს. ჩაფიქრებული ხელს ამ გაზეთების, ჟურნალების, ფოტოსურათების გროვაზე უსვამს. გაზეთები, ქალალდის გროვა ქალს ერთ დროს ნანახ ფოტოსურათებს, გაზეთებს ახსენებს. ჩაფიქრებულია.

ქალი: როგორი ყმაწვილია?

ქალი ზედა სართულზე ამავალი კიბის თავში დგას... ქალაქის მესაათეს უსმენს, თითქოს რაღაცას ახსენებს მისი მონაყოლი... რაღაც შინაგანი გრძნობით კიბის ზემოთ იყურება...

ქალაქის მესაათე: არ მიბრუნებს... აქაური არ არის... ერთხელაც არ მოუშორებია თავიდან... სულ უყურებს... ყოველთვის...

ქალი უცებ გონს მოეგო. ქალაქის მესაათემ მას ოცნებები დაუმსხვრია... საათს უკანასკნელად უყურებს...

ქალი: ძალიან ბევრ ადამიანს გაახსენებდა დავიწყებულ სიზმრებს...

ქალმა გადაწყვეტილება მიიღო, სასტუმროდან გადის. კარების წინ გაჩერებულ ცისფერ მანქანასთან მიდის. ქალაქის მესაათე თავს დამნაშავედ გრძნობს, სტაცებს ხელს საათს, ქალს დაედევნება.

მანქანის წინ ქალს ეწევა.

ახოვანი კაცი ქალს მანქანის კარს უღებს.

ქალაქის მესაათე: ისე კი, სულ არ დამ-ვიწყებიხართ... კასეტას ახლავე მოვიტან, მალე, ძალიან მალე...

ქალი: (დაინტერესდა) მალე?

ქალაქის მესაათე: დიახ, ძალიან მალე... მთელი დღეები უყურებს ყმაწვილი... სულ უყ-ურებს... ელოდება...

ქალაქის მესაათე ღელავს, როცა ხვდება, რომ ქალი სადაცაა მანქანაში უნდა ჩაჯდეს...

ქალაქის მესაათე: (უმწეოდ) ჩემს სა-ხელოსნოში მობრძანდით... ახალი საათი მაქვს, სხვა, ძალიან ლამაზი...

ქალი მანქანაში ჩაჯდა.

ქალი: როგორი საათია?

ქალაქის მესაათე ღელავს, ქალი რომ ვერ შეჰყავს სახელოსნოში.

ქალაქის მესაათე: ძალიან ლამაზია! ნახეთ...

ქალაქის მესაათე აღელვებული მეორე კარიდან ჯდება მანქანაში... მანქანა დაიქოქა და ნელ-ნელა თვალს მიეფარა...
კამერა ნელი მოძრაობით სასტუმროს ერთ ფანჯარას აჩვენებს. ეს ის ფანჯარაა, ფოტოგრაფი თვეების განმავლობაში რომ იჯდა და ქალს ელოდა... მაგრამ იმ წერტილიდან, სადაც ფოტოგრაფი იჯდა და მესაათეს სახელოსნოს უყურებდა, ქალის მანქანა არ ჩანს.

ფოტოგრაფმა ქალის მანქანა მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა იგი მესაათეს მიუახლოვდა.
დაინახა თუ არა ცისფერი მანქანა სახელოსნოს წინ, ფოტოგრაფი ადგა.

ახლა ფანჯრიდან უკეთ არჩევს.
ცისფერ მანქანას უყურებს, რომელიც სახელოსნოს უახლოვდება, თვალებს არ უჯერებს, მოჯადოებულივით უყურებს...
ქალაქის მესაათე მანქანიდან გადმოდის, სახელოსნოს წინ ქალს ელოდება.
ქალს ახმახი კაცი უღებს კარს. მანქანიდან გადმოდის, მესაათეს სახელოსნოს უახლოვდება.
ქალი სახელოსნოს კართან წამით ყოვნდება...
ქალაქის მესაათე, ალბათ, რაღაცას ეუბნება...
ქალი ინტუიციით ბრუნდება, სასტუმროს უყურებს. სასტუმროს ფანჯარაში ხედავს ფოტოგრაფს, რომელიც მას უყურებს.
ქალი უკან ბრუნდება, სასტუმროსკენ მიდის... მზერა სასტუმროს ფანჯრისთვის მიუპყრია.

ქალიც ისე გამოიყურება, თითქოს ნანახს არ უჯერებსო, მაგრამ თან სახეზე ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ამას ელოდა და იცოდა, რომ ასე მოხდებოდა. პირდაპირ ფოტოგრაფისკენ მიდის, რომელიც მას უყურებს. ტროტუარიდან ჩამოდის, სასტუმროსკენ ერთ-ორ ნაბიჯს დგამს.

ქალი და ფოტოგრაფი ერთმანეთის პირისპირ დგანან. ქალის სახეზე თანაგრძნობა, ტკივილი, სიყვარულია... ფოტოგრაფი გაოცებული სახით უყურებს ქალს ფანჯრიდან.
ხელებით მინას მთელი ძალით ეყრდნობა.
ქალისკენ იწევა და ფანჯრის მინა ტყდება.

ქალი ერთხანს დგას. მიხვდა საქმის ვითარებას... ბრუნდება, სწრაფი ნაბიჯებით მანქანისკენ მიდის.

ქალი: მივდივართ.

ქალაქის მესაათე დიდ, ლამაზ საათს დაბლა დებს. მირბის, ცდილობს ქალს გზა მოუჭრას, შეაჩეროს.

ქალაქის მესაათე: რა მოხდება, რომ არ წახვიდეთ! თვეებია, რაც იქ გელოდებათ... რა იქნება, რომ არ წახვიდეთ. კასეტაც მას აქვს... ახმახი კაცი მესაათეს ხელს ჰკრავს.

ფოტოგრაფი სწრაფად ჩამორბის კიბეზე, რომ ქალს მიუსწროს.

ქალი მანქანაში ჩავდა.
ახმახი კაციც ჯდება...
მანქანის ძრავა ამუშავდა.

ქალაქის მესაათე: მოდის... არ წახვიდეთ, დაელოდეთ!

ცისფერი მანქანა მიდის...

მანქანა რომ იქაურობას ოდნავ მოშორდა, სასტუმროს კარებში ფოტოგრაფი გამოჩნდა. მანქანისკენ რამდენიმე ნაბიჯი უიმედოდ გადადგა...

სახელოსნოსთან, ქალაქის მესაათეს რომ მიუახლოვდა, გაჩერდა.

ფოტოგრაფი: საით წავიდნენ?

ქალაქის მესაათეს, ჩანს, მობეზრდა.
ქალაქის მესაათე: არ ვიცი.

ფოტოგრაფი გარშემო უმწეოდ იყურება.
მიწაზე დაჭმუჭნილი ქაღალდი... იხრება, იღებს.

ფოტოგრაფი: ეს რა არის?
ქალაქის მესაათე: მე რომ ხელი მკრა, ის ხეპრე ჭამდა... შაქარლამაა...
ფოტოგრაფი შაქარლამის ქაღალდს ხსნის. შიგნით დაწერილ მისრებს კითხულობს.

ფოტოგრაფი: არ შეჩერდე, წადი ქვეყნად
გულისა, დადე სული გასასვლელთან გულისა.

ფოტოგრაფმა შაქარლამის ქაღალდი გადმოატრიალა.
საათიანი კოშკი ახატია. ქალაქის სიმბოლო...

ფოტოგრაფი: საათის კოშკი!

ერთმანეთს უყურებენ.
ორივე ერთსა და იმავეზე ფიქრობს.
ქალაქის მესაათე ფოტოგრაფის ჩანაფიქრს ხვდება.

ქალაქის მესაათე: არ წახვიდე. ნუ გაერევი
ამ საქმეში...

ფოტოგრაფი არ უსმენს...
სწრაფად შორდება.

ღამე.
ფოტოგრაფი ავტობუსში ზის.
ავტობუსი სიბნელეში მიდის.
ფოტოგრაფი შიგნითაა.
შუქზე შაქარლამის ქაღალდზე კოშკს უყურებს.

საათიანი კოშკის ხედი.

გულთა ქალაქი

გულთა ქალაქის მთლიანი ხედი...
წინ, გორაკზე, საათის კოშკი, უკან – ქალაქი.

ფოტოგრაფი ქალაქის ქუჩებში დადის.
ერთ კუთხეში შეუხვია.
პირდაპირ საათის კოშკს მიადგა.
კოშკის ხედი...

ფოტოგრაფი სხვა ქუჩაზე მიდის. ისევ საათის კოშკს მიადგა, ჩერდება.
კიდევ უფრო შორს, სხვა ქუჩაზე მიდის.

თითქოს განერვიულებულია, მოუსვენრადაა. მოტრიალდა, ისევ საათის კოშკი დაინახა, უფრო აღელდა. ერთ ქუჩაზე, დუქნის წინ მეჯალამბრე მუშაობს. ფოტოგრაფი მიუახლოვდა.

ფოტოგრაფი: ამ ქალაქში თუ არის ისეთი ქუჩა, საიდანაც საათის კოშკი არ ჩანს?
მეჯალამბრე: არა. ერთადერთი ადგილი, საიდანაც შეიძლება ვერ დაინახო იგი, თვითონ საათის კოშკია...

კოშკის ხედი ქუჩებიდან.
ფოტოგრაფი კოშკს უყურებს.
ფოტოგრაფი: მესაათე არის აქ სადმე?
მეჯალამბრე: პირდაპირ და მარჯვნივ...

ფოტოგრაფი ქალაქის განაპირა უბანში მიდის.
ერთ კუთხესთან ჩერდება, ერთხანს დგას, გაოცებულია.
კედლის აფიშა, ძირს დაგდებული საგზაო ნიშანი,
ბადეში — ბურთები... ეს ყველაფერი ქალაქთა ქალაქში
მესაათეს სახლოსნოს ქუჩის ასოციაციას იწვევს.
ქალის სიზმრისეული ცისფერი მანქანაც ცოტა წინ
დგას, ტროტუართან მიუყენებიათ. ფოტოგრაფი
მანქანას უახლოვდება, მოჯადოებულივითაა.

ფოტოგრაფი მანქანაში ჩაჯდა. რადიოში ტალღებს
ეძებს. სარკეზე დაკიდულ თილისმას ეხება.
იქვე ბავშვი „კლასობანას" თამაშობს. მეძველმანე
ისე ყვირის, რომ ქალაქთა ქალაქი გახსენდება.

> **მეძველმანე:** მეძველმანე! ძველ ნივთებს
> ვყიდულობ! მეძველმანე!..

უცებ, მანქანის მარცხენა მხარეს ქალი გამოჩნდა, ჩაიარა.
მტკიცე ნაბიჯით მიდის ქუჩაში.
ფოტოგრაფი გაოცებული და გაოგნებული უყურებს
ქალს.
გადმოდის მანქანიდან, ქალს მისდევს.
როგორც რომელიღაც სიზმარში, ვიდრე ქალს დაე-
წეოდა და გააგებინებდა თავის არსებობას, უკან მის-
დევდა.
რაღაც დაინახა, წამით გაჩერდა.

კუთხიდან მესაათე გამოდის.
პირდაპირ ქალისკენ მიდის.

ხელში შეკვრა უჭირავს.
ტროტუარის ნაპირთან ხვდებიან ერთმანეთს.
მესაათე შეკვრას ქალს აჩვენებს.

ფოტოგრაფი მათ კარს ამოფარებული აკვირდება.

ქალი და მესაათე ერთად ხსნიან შეკვრას.
ქალი ყუთში ხელით რაღაცას ეხება. ქალი და მესაათე ისე იქცევიან, ისეთი ყურადღებითა და ცნობისმოყვარეობით უყურებენ ყუთის შიგთავსს, როგორც თანამზრახველები, რომელთაც ერთნაირად აკისრიათ პასუხისმგებლობა.
ფოტოგრაფი დათრგუნული, რაღაც ტკივილით ადევნებს მათ თვალს. აშკარად ჩანს, რომ ქალსა და მესაათეს შორის ისეთი სამყაროა, სადაც ფოტოგრაფი ზედმეტია.

როცა ფოტოგრაფმა დაინახა ის საგანი, რომელსაც ქალი და მესაათე მოწიწებითა და დაჟინებით უყურებდნენ, მათ შორის სატვირთო მანქანამ გაიარა. მანქანა ზუსტად იმ მანქანასავით წითელია, რომლის გამოც ქალაქთა ქალაქში ქალმა მესაათე მხედველობიდან დაკარგა.
სატვირთო მანქანამ გაიარა. ქალი და მესაათე აღარ ჩანან.

ფოტოგრაფი გაოცებულია. ხედავს, როგორ იკეტება რომელიღაც სახლის კარი. იმ სახლისკენ მირბის, აკაკუნებს.

კარი იღება, მოხუც დეიდას ხელში სპილენძის ჩამჩა უჭირავს.

მოხუცი დეიდა: აა, შენ მერძევე არა ხარ?

ფოტოგრაფი: აქ ვიღაცები შემოვიდნენ!

ფოტოგრაფი ფეხის წვერებზე აწეული ათვალიერებს ოთახს, მაგრამ ვერავის ხედავს...

მოხუცი დეიდა: ვისი ხარ, შვილო?

ფოტოგრაფი ცდილობს, გაიგოს, სად შეიძლებოდა გამქრალიყვნენ ქალი და მესაათე.

სხვა მხარეს მირბის.
ცარიელ ქუჩას მიუყვება.
კვლავ მეორე მხარეს ბრუნდება.
ვერავის ხედავს. უკან ბრუნდება.
სხვა ქუჩაზე გადადის...
წინ ხედავს, როგორ შედის მესაათე რომელიღაც სახლში.
სწრაფი ნაბიჯით მიდის იმ კარისკენ.
ყურადღებით, ნელ-ნელა შედის შიგნით.
კარი ბაღში გადის.
ფოტოგრაფმა რამდენიმე საფეხური ჩაიარა. ხეებსა და მცენარეებს შორის მიდის.
ხედავს მესაათეს, რომელიც ზურგში მოხრილი ზის. მის პირდაპირ ვიღაცაა. ზუსტად ამ დროს ფოტოგრაფი გატეხილ ნათურას ადგამს ფეხს. ხმაურზე წყვილი შეშინდა.
უკან იხედებიან.
ესენი ქალი და მესაათე არ არიან... დიდი-დიდი ფარულად შეყუჟული შეყვარებულები თუ იქნებიან.

ფოტოგრაფი ხვდება, რომ ისევ დაკარგა ქალი და მესაათე.
იმედგადაწურული და დაბნეულია. უკან ბრუნდება. ქუჩაში ისევ ის გოგო, ქალაქთა ქალაქში მესაათეს დუქნის წინ ქუჩაში რომ თამაშობდა, იმ გოგოსავით თამაშობს „კლასობანას“.
ბადეში ჩაყრილი ბურთები დუქნის კუთხეში ისევ ისე გდია. გრძნობა-გონების ამრევი ჯადოსნური წამი...

შუადღე.
ფოტოგრაფი მარტოა სამიკიტნოში. მაგიდები შეგროვებულია, სკამები მაგიდებზეა შემოწყობილი.
ოფიციანტი ალაგებს, სკამებს მაგიდაზე აწყობს.
ფოტოგრაფი მაგიდასთან დაღლილი, გასავათებული ზის. წინ რახის ბოთლი უდევს.
ფოტოგრაფს უახლოვდება, ყურში ეჩურჩულება, თითქოს ბოდიშს იხდისო.

ოფიციანტი: ვიკეტებით!

ღამე.
ფოტოგრაფი გულთა ქალაქის ცარიელ და ჩაბნელებულ ქუჩებში მარტოდმარტო დახეტიალობს.

დარდის, მარტოობისა და უსასოობის განცდა.

როცა ერთ კუთხეში შეუხვია, საათის კოშკი მოჩვენებასავით აღიმართა წინ. საათის კოშკს გაოცებული და შეშინებული უყურებს...

დილა.
ღამენათევ ფოტოგრაფს თავი მაგიდაზე უდევს და სძინავს. ყავახანაში დღე დაიწყო — პირველი ჩაის მსმელები, სიგარეტის მწეველები, მოლაყბეები...
შორეული გულთა ქალაქის ადამიანები... გაჭირვებული, დაღლილი, გაუპარსავი ადამიანები...
კედლებზე პეიზაჟები, ძველი მოჭიდავეების პლაკატები... სასეირნო ამინდია...
საგაზეთო ქუდში, რომელსაც ერთი მოხუცი კითხულობს, წერია: ჩინეთი თავს დაესხა იაპონიას...
მძინარე ფოტოგრაფს მაგიდის ნჯღრევა აღვიძებს. მის მაგიდასთან თავმომწონე გამომეტყველებით ფარაჯიანი და ცისფერკოსტიუმიანი კაცი დამჯდარა. მიხვდა, რომ ფოტოგრაფი გააღვიძა, იღიმება.

ЦИСФЕРКОСТЮМИАНИ КАЦИ: დილა მშვიდობისა... (ჩაის მომტან ბიჭს) ორი მაგარი ჩაი...

ჯიბიდან წერილს იღებს, უხმოდ კითხულობს.
ბიჭს ჩაი მოაქვს, მაგიდაზე დებს.
ცისფერკოსტიუმიანი კაცი ჯიბიდან ბლითს იღებს. ორად ყოფს, ნახევარს ფოტოგრაფს უწვდის.
ფოტოგრაფს არ უნდა, არ ართმევს. ჩაიში შაქარს ურევს.
ცისფერკოსტიუმიან კაცს, ამის გამო, გუნება გაუფუჭდა. ისე საუბრობს, თითქოს ჭკუას არიგებს, გაკვეთილს უხსნის.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ: სევდას თუ არ შეებძოლე, მთელი ცხოვრება თავს არ დაგანებებს... საშიშ დაავადებას ჰგავს... თავი თუ მოუხარე, ადგილზე გაგათავებს კაცს... (ერთი ყლუპი მოსვა) ამაზე წლების მანძილზე ვმუშაობდი!

კმაყოფილია წაკითხული ლექციით. დგება.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ: დღეს ჩემი სულის გადარჩენის დღეა!

იხრება, გვერდით სკამიდან დიდი მაგიდის საათს იღებს და სადღეღამისო ყავახანიდან გადის.

ფოტოგრაფი არ ინძრევა. ვიტრინიდან ხედავს, როგორ შორდება მას იღლიაში საათამოჩრილი ყავახანიდან გასული კაცი, თითქოს ფხიზლდება. ყოყმანობს. სწრაფად დგება, უკან მისდევს.

ყავახანიდან გამოსული ფოტოგრაფი ერთ-ერთი ქუჩის კუთხეში უხვევს, ცისფერკოსტიუმიანი კაცი უკვე წინ, განიერი ქუჩის ბოლოშია. იღლიაში საათამოჩრილმა კაცმა კუთხეში შეუხვია და გაუჩინარდა.

ფოტოგრაფი უხმოდ მირბის, მას მისდევს.
ფოტოგრაფი ხედავს, როგორ შედის ცისფერკოსტიუმიანი კაცი ერთ-ერთ ეზოში. ცდილობს, არ დაკარგოს მხედველობიდან. სირბილით მისდევს.
ცისფერკოსტიუმიანი კაცი გულთა ქალაქის განაპირა უბანს აღწევს, აღმართზე ადის, კუთხეში უხვევს, შემდეგ მტკიცე ნაბიჯით სხვაგან უხვევს.

ფოტოგრაფი მას ფეხდაფეხ მისდევს... გარშემო სიცარიელეა... ისმის ძაღლების ყეფა.
ფოტოგრაფი ერთი კუთხიდან უთვალთვალებს, ხედავს, როგორ მიუახლოვდა ცისფერკოსტიუმიანი კაცი განიერი ქუჩის ბოლოში ერთ კარს.

კარი ღიაა. ცისფერკოსტიუმიანი კაცი შიგნით შედის. კარებში ამჯერად ახოვანი კაცი ჩანს.
ფოტოგრაფი კუთხეში იმალება. ახოვანმა კაცმა ქუჩა მოათვალიერა და შიგნით შევიდა. ფოტოგრაფი გამოდის სამალავიდან და პირდაპირ კარებისკენ მიდის. ფოტოგრაფი კარებს უახლოვდება. კარებზე საათის ციფერბლატი ჰკიდია. ფოტოგრაფი გამბედაობას იკრებს და კარზე აკაკუნებს. უკვე მიიღო გადაწყვეტილება. ისევ აკაკუნებს.

ღია კარში ახოვანი კაცი გამოჩნდა. ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ვიღაც გემუქრება, გაშინებს.

ახოვანი კაცი: დიახ?

ფოტოგრაფი ერთხანს შეყოვნდა.

ფოტოგრაფი: გულის გადასაშლელად მოვედი... (ერთხანს ფიქრობს) საათებზე... ამბავი მაქვს...

უცებ ფოტოგრაფს ახსენდება, ეს ახოვანი კაცი, უცხოთა ქალაქში ქალთან ერთად რომ ნახა, ის არის.

ახოვანი კაცი: საიდან?

ფოტოგრაფი გაბედულად ლაპარაკობს...

ფოტოგრაფი: შორიდან... გულთა ქალაქიდან...

ახოვანი კაცი ფოტოგრაფს შიგნით უშვებს. კარი იხურება.
ახოვანი კაცი და ფოტოგრაფი უკანა კიბეებით ბაქანზე გადიან... ახოვანი კაცი გზას უჩვენებს, ფოტოგრაფი ოთახში შედის.
აღელვებული ფოტოგრაფი ცდილობს, გაერკვეს, რა ხდება ოთახში. ოთახში ათი-თორმეტი კაცი ზის... კაცები, რამდენიმე ქალი, სოფლურად ჩაცმული ადამიანები, პატარა მოხელეების გამომეტყველებით... დარდიანები, სევდიანები, უიმედონი, მოხუცები... ყველას საკუთარი საათი მოუტანია.
იცდიან.

ფოტოგრაფი აღელვებული და შეშფოთებული საცდელ ოთახში ბოლთას სცემს. შემოსასვლელ კარს უყურებს.

ახოვანი კაცი ვერ დაინახა და ოთახიდან გავიდა.
ფოტოგრაფი ისევ კიბის ბაქანზეა. აქ კიბეებს ხედავს.
მის წინ ისევ კარია. ერთხანს ყოყმანობს, შემდეგ ზევით ამავალ კიბეს ირჩევს.
ნელ-ნელა ადის. ღია კარის ზღურბლიდან შიგნით იყურება. გაოცებულია, ყურადღებით ათვალიერებს ოთახს...

მესაათე მაგიდასთან მილურსმულივით ზის.
მაგიდის გადასაფარებელი და მესაათეს უკან ფარდა ფოტოგრაფს უცხოთა ქალაქში ვიდეო-კასეტაზე ნანახს ახსენებს.
მესაათეს წინ კამერა, კამერის უკან კი, ვილაც ჩამწერის ზურგი მოჩანს. რაღაც ანათებს.
მესაათე ერთხანს ფიქრობს.
კამერის წინ საუბარს მიჩვეული ადამიანივით, თავისუფლად ჰყვება.

მესაათე: ჩვენს სახეზე დაკარგულ აზრს მხოლოდ გახსენებით ვიპოვით... დაკარგული ლამაზი დროის პოვნით... ტკივილის გახსენებით... მოყოლით... ჩვენს სულში არსებული ფარული საათის ჩარხების მოძებნით... საათის დამახსოვრებით...

ლაპარაკი რომ დაამთავრა, მობრუნდა. მაგიდასთან მიიპატიჟა მოხუცი, რომელიც საათით ხელში თავის რიგს ელოდა.

მესაათე: მობრძანდით.

მესაათე ადგილს უთმობს მოხუცს და პატარა სარეგისტრაციო ოთახიდან გადის.

კამერას უახლოვდება, გადასაღებად ბრძანებას აძლევს.

მესაათე: (ხანში შესულ კაცს ეკითხება) მზად ხართ, ბატონო? (ოპერატორს) დაიწყეთ.

ხანში შესული კაცი მაგიდასთან ხელოვნურად დაჯდა, ის მაგიდის საათი, ხელში რომ ეჭირა, წინ დაიდო. მღელვარე, გაბზარული ხმით დარდის, ამბის მოყოლას იწყებს.

ხანში შესული კაცი: ცხოვრებაში ყველაზე მეტად ჩემი ქალიშვილი მიყვარდა... ყველაზე მეტად... ჩემი გოგონა... მაგრამ, მანაც ზუსტად დედამისივით, ერთ დღეს დამტოვა და წავიდა... ერთ დილას, რომ გავიღვიძე... გავხედე, ოთახი ცარიელია... სულ ცარიელი...

მესაათე კამერის პატარა ეკრანზე გამოსახულებას თვალს ადევნებს... მერე კამერის ზურგს ეფარება და გადასაღებ მოედანს ტოვებს.

მესაათე: (ოპერატორს ეჩურჩულება) გააგრძელეთ...

ფოტოგრაფმა დაინახა, რომ მესაათე ოთახიდან გავიდა. მოუსვენრად ადგილს იცვლის. მესაათე, ცოტა ხნის წინ ფოტოგრაფი რომ იმალებოდა, იმ ბაქანზე დგას. თითქოს რაღაცაზე ეჭვიანობს.

ქალაქთა ქალაქში დუქნიდან რომ გამოვიდა, აქაც იგივე მოძრაობით ზედა ჯიბეში რაღაცას დაუწყო ძებნა.

მიდის, გარეთ გადის.

აღელვებული ფოტოგრაფი მესაათესგან გარბის, სხვა ოთახში შედის.

იქაც, ისევე, როგორც პირველ ოთახში, თავიდან ვერ ხვდება, რა ხდება.

მოგრძო ოთახში რაღაც საუბარი ისმის... ფოტოგრაფი ცდილობს, გაიგოს ლაპარაკი, მონუსხულივით დგას, დაინტერესებული შედის ოთახში. მწკრივში დალაგებულ სკამებზე მთხრობელებს, დარდიანებს, სევდიანებს უყურებს. ყოველი ადამიანის წინ, ზუსტად ისე, როგორც გადასაღებ მოედანზე, თითო მაგიდა, მაგიდაზე კი, თითო საათი დგას.
ყველანი სათითაოდ თავის ამბავსა და სადარდებლებზე ყვებიან, გულს შლიან... ფოტოგრაფი ოთახში შედის, სათითაოდ ისმენს ამბავს.

პირველ მაგიდაზე 50-55 წლის სქელულვაშიანი მუშა ზის. წლობით ნამუშევარი, მოტეხილი. ტანსაცმელი გახუნებული, სადა და სუფთა...

> „იმიტომ რომ ჩემს ენაზე ვერ ვლაპარაკობ... როცა ჩემს საკუთარ ენაზე ვლაპარაკობ, სხვის ენაზე ლაპარაკობსო, ამბობენ... მე კი, კიდევ ერთი განცხადება დავწერე... რადგან საკუთარ ენას ვერ ვივიწყებდი... რადგან, თუ ჩემი ენა დავივიწყე, მაშინ სხვის ენას საერთოდ ვერ გავიხსენებ... კიდევ დავწერე განცხადება... რადგან ჩემს დარდს ვერ ვყვებოდი... ჩემი დარდი რომ მომეყოლა...“

გვერდით მაგიდაზე შუახნის თავსაფრიანი დიასახლისი თავის ამბავს ჰყვება:

> „ხის ქვეშ რომ წყაროა, იმასა და ჩემს სამზარეულოს ფანჯარას შორის, გრძელი აღმართია... მაგრამ, სამზარეულოს ფანჯრიდან ამ წყაროს

მაინც ვხედავ. წყარო ქვევით არის. წყლით სავსე სათლებით აღმართზე რომ ავალ, ვფიქრობ, სახლი დაღმართშია-მეთქი... აღმართს სავსე სათლებით კი არა, ცარიელებით შევუდგებოდი ხოლმე".

მესამე მაგიდასთან ერთი ახალგაზრდა ზის, რაღაცით ფოტოგრაფს ჩამოჰგავს. ეტყობა, რომ ქალაქელია. თავის ამბავს ჰყვება:

„წუხელ ისევ გნახე სიზმარში. ადამიანს ჩემსავით რომ უყვარდეს ვინმე, მაშინ ასევე იოცნებებდა სიყვარულზე... ამ იმედით ცხოვრობს... საკუთარი ღირსების შეგნებით ცხოვრობს... ჩანს, სიზმარში ჩვენ ერთნი ვართ..."

მეოთხე მაგიდასთან ფოტოგრაფი, ყავახანაში რომ ნახა, იმ ცისფერკოსტიუმიან კაცს ხედავს.

დიდი საათი მაგიდაზე დაუდვია. ჰყვება.

ცისფერკოსტიუმიანი კაცი: დარდს არ განვიახლებ-მეთქი, ვთქვი და წლების მანძილზე, საღამოობით, მზე რომ ჩავიდოდა, ყავახანაში მივდიოდი... დილაობით კი, სანამ დარდი მომაწვებოდა, მაშინვე საქმეს შევუდგებოდი... წლობით...

ცისფერკოსტიუმიანმა კაცმა ფოტოგრაფი დაინახა, ისე ულიმის, თითქოს მეგობარი დაენახოს.

ცისფერკოსტიუმიანი კაცი: ვიცოდი, რომ მოხვიდოდი... მოდი, დაჯექი...

დგება, ფოტოგრაფს, რომელიც ჯერ კიდევ ჭოჭმანობს, მხარზე ადებს ხელს და მაგიდასთან სვამს.

მაგიდასთან ჯდომა ფოტოგრაფს აღელვებს. ერთხანს უსმენს ახლაგაზრდას, რომელიც გვერდით მაგიდასთან ზის და გულს შლის.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ: შენი საათი სად არის?

ფოტოგრაფი იბნევა, მერე მამის საათი ახსენდება. საათს გულის ჯიბიდან იღებს.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ: საათი გულთან ახლოს მიიტანე, რომ შენმა სახემ ილაპარაკოს...

ფოტოგრაფი ყურადღებით უყურებს მამის ძეწკვიან საათს და იხსენებს... უკვე მზად არის გულის გადასაშლელად.

ახოვანი კაცი განიერი ოთახის კარებს აღებს და შემოდის, მაგიდასთან მსხდომ დარდიან ამბის მთხრობელებს აკონტროლებს.

ფოტოგრაფისა და ცისფერკოსტიუმიანი კაცის მაგიდასთან მიდის და ჩერდება...

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ: გულის გადასაშლელად მოემზადე!..

ტყავის კოსტუმიანი ახოვანი კაცი წინ, უკან ფოტოგრაფი. ისინი გულთა სახლის უცნაურ კორიდორში გადიან.

კიბეზე ჩადიან, კორიდორი გაიარეს, სადაც საათების წიკწიკი ისმის. ახლა სხვა კიბით ჩადიან.

ლაბირინთივით უცნაური და გაურკვეველი ადგილია. მისაღებში, კიბეებზე, კორიდორში საათები მარტოდმარტო, თავისთვის წიკწიკებენ.

კორიდორში გასვლისას ფოტოგრაფი ღია კარში იხედება.

მესაათე მაგიდის თავში ზის და მუშაობს. ხელში საათი უჭირავს, საქმეში ჩაფლულა. უკვე შეჩვეული ახალ ცხოვრებას, თითქოს კმაყოფილია, თავს კარგად გრძნობს. წამით ჩერდება, შეხედა ფოტოგრაფს, რომელიც კარებში დგას და მას უყურებს... მაგრამ ფოტოგრაფი არ ახსოვს. წამით შეჩერებული ფოტოგრაფი კი ისევ ახოვან კაცს დაედევნა.

ფოტოგრაფი გადასაღებ ოთახში შევიდა და მაგიდასთან დაჯდა. მის წინ კამერა დგას... ნათურები აინთო, ზემოდან ძლიერი შუქი ეცემა.
ღრმად სუნთქავს, ალბათ არ იცის, როგორ დაიწყოს თავისი ამბავი. შემდეგ, მოყოლისას, ხმა თანდათან მგრძნობიარე უხდება, თანდათან ახსენდება, თითქოს უფრო ფხიზლდება ...

> **ფოტოგრაფი:** ოდესღაც... ოდესღაც ერთმა ლამაზმა ქალმა ვიღაც ჭაბუკი დაკარგული განძის საძებნელად გააგზავნა... ლამაზ ქალს განძის საიდუმლოების შესახებ მამისგან ჰქონდა გაგონილი, რუკა სახეებზეაო, — ეუბნებოდა თურმე მამა... ჭაბუკიც ქალის ნაამბობის საძებნელად, სახეებად რუკა რომ ჰქონდათ, იმათ შეერია... ქალაქ-ქალაქ იხეტიალა, მკვდარი ქალაქები, დაკარგული ადგილები მოიარა... (წამით ჩერდება, ფიქრობს, თვალები ცრემლით ევსება)

ერთ დღეს, როცა დავიწყებულთა შორის თვითონაც დაიკარგა, მიხვდა, რომ ლამაზი ქალი გაქრა... თავისი სახეც რომ რუკა იყო, მაშინ შეამჩნია. მიხვდა ჭაბუკი, რომ მას განძის კი არა, იმ საიდუმლოებით მოცული ქალის ძებნა დაუწყია... ერთ დღეს ერთ ქალაქში მივიდა... სადაც არ უნდა წასულიყო, საათის კოშკს ხედავდა და იგრძნო, რომ ქალიც აქ იქნებოდა...

კადრში სიბნელიდან გამოსული ქალის სახე ჩნდება. თანაგრძნობით სავსე სახე.
მგრძნობიარე გამომეტყველება...
ფოტოგრაფს კიდიდან უყურებს და უსმენს.

ფოტოგრაფი: მე მიყურებსო, ფიქრობდა... და მაშინ მიხვდა, რომ იმ უბედური ცხოვრებიდან მხოლოდ ქალის ხედვით შეძლებდა

გამოსვლას... რადგან ახალგაზრდას სულ ის ქალი ესიზმრებოდა... და ყოველთვის თვალცრემლიანი იღვიძებდა... ის უყვარდა. საკუთარი დაკარგული სულის ძიებასავით უყვარდა.

ქალს შეწუხებული გამომეტყველება აქვს.
ფოტოგრაფი ინსტინქტურად თავს წევს და ხედავს ქალს, რომელიც მას უყურებს. გაოგნებულია.
ქალი აფორიაქებულია.
ფოტოგრაფს მზერას არ აშორებს, ნელ-ნელა უკან იხევს და სიბნელეში ქრება. ფოტოგრაფი მაგიდიდან დგება, ქალის დაკარგული გამოსახულებისკენ მიდის. მის წინ კარი იღება. ქალის სახეს ამ კარის ფანჯრიდან ხედავს... კარს აღებს.

ქალი უცნაურად განათებულ ოთახში შედის. ფოტოგრაფს შორდება. სიზმრისეული გარემო... ქალი გრძნობს, რომ ფოტოგრაფი მისდევს, ჩერდება და ბრუნდება.
ფოტოგრაფი ვერ აკონტროლებს თავის ხმას, ისე ლაპარაკობს.

ფოტოგრაფი: ვიცოდი, რომ გიპოვიდი... მათ შორის მანძილი 7-8 ნაბიჯია, მაგრამ ქალი თითქოს მაინც ძალიან შორსაა. საათის წიკწიკი...

ქალი: არა, ძვირფასო, შენ სულ არაფერი იცი... ფოტოგრაფი, ალბათ, ქალს მიუახლოვდებოდა, მაგრამ ფეხის ხმა ისმის — უკან ტყავის კოსტიუმიანი ახოვანი კაცი გამოჩნდა. თითქოს ქალს იცავსო...



ქალი: წადი აქედან, ახლავე...

ფოტოგრაფი ვერ შორდება, მაგრამ ახოვანი კაცი ისე უახლოვდება, თითქოს ემუქრებაო. ფოტოგრაფს არ უნდა, მაგრამ უკან იხევს... ქალი ფოტოგრაფს სევდიანად უყურებს, ბრუნდება, წამით ჩერდება. ფოტოგრაფი და ახოვანი კაცი გასასვლელისკენ, კიბეზე ჩადიან. კარისკენ მიემართებიან.

ფოტოგრაფი წამით ჩერდება, მაგრამ ახოვანი კაცი რომ აქ არის, ამას ცხადად გრძნობს.
ფოტოგრაფი გულთა სახლის კარებს აღებს და გარეთ გადის.

ახოვანი კაცი კიბის თავში გაუნძრევლად დგას და მას უყურებს. ჯიბიდან შაქარლამას იღებს და პირში იგდებს...

საათის კოშკი

გულთა სახლიდან გამოსული ფოტოგრაფი კვლავ საათის კოშკს ხედავს. საათის კოშკის ხედი გულთა ქალაქის სახურავების ფონზე...

ფოტოგრაფი საათის კოშკს გატაცებით უყურებს. უცებ თავში რაღაც აზრმა გაუელვა, კოშკისკენ მიდის. ფოტოგრაფი ქალაქის განაპირა რაიონში, ძველ სახლებს შორის, ერთ გორაკზე მიბობღავს... გორაკზე საათის კოშკი ისე ჩანს, თვალს ვერ მოსწყვეტ...

ფოტოგრაფმა გორაკის თავს მიაღწია, მტკიცე ნაბიჯით უახლოვდება საათის კოშკს. კარს მიუახლოვდა. ხელის კვრით აღებს.
შედის. შიდა კიბით საათის კოშკის პირველ სართულზე ადის.
გაბმული წიკწიკი.
საათის უზარმაზარი კბილანები, მისი სიმძიმე...
ფოტოგრაფი უყურებს ნელ-ნელა მოძრავ საათის დიდ ისარს.
კოშკში არავინაა. მეორე სართულზე კედელში გამოკვეთილი კიბეებით ფრთხილად ადის. მეორე სართულის ფანჯრის გისოსებიდან გულთა ქალაქი მოჩანს.
ფოტოგრაფი ახლა ქალაქის იმ ერთადერთ წერტილშია, საიდანაც საათის კოშკი არ ჩანს.
ქალაქის მთლიანი ხედი.
საათის ჩარხი და ზამბარა ძლიერ ხმას გამოსცემს...

ფოტოგრაფი მეორე სართულზე, კუთხეში ტახტზე წვება. ზედ უხეში გადასაფარებელია გადაფარებული... მაგრამ საათის წიკწიკი არ აძინებს...
ფოტოგრაფი პირველ სართულზე ჩადის. საათის მექანიზმს უახლოვდება. დიდ ისარს შუაში ავლებს ხელს და საათი ჩერდება. თავგზისამბნევი, ბედნიერების მომნიჭებელი მდუმარების წამი... ტრიალდება. კოშკის დარაჯის მაგიდაზე სურიდან ჭიქას წყლით ავსებს და სვამს.

ღამე. სიჩუმე.
საათის კოშკის ხედი გარედან.
საათის ისრები არ მოძრაობენ. საათი ხუთის ნახევარზეა გაჩერებული...
საათის მექანიზმი, კბილანები სიბნელეში უმოძრაოდაა გაჩერებული. კოშკის დარაჯის მაგიდა, სკამი, სურა სიბნელეში ისევე დგას. ფოტოგრაფი ლოგინზე მშვიდად იძინებს.
გულთა ქალაქიდან ღამის კოშკის საათის ხედი. ქალაქიც მდუმარეა. მხოლოდ განათების ყვითელი სხივი ციმციმებს ქუჩაში...

დილა. ფოტოგრაფი დღის შუქზე იღვიძებს.
მოულოდნელად ზარის ხმა ისმის.
ფოტოგრაფი შეშინებული დგება. თითქოს ვერ ხვდება, სადაა. ზემოთ, საათზე მიბმული ჩაქუჩი ზარს ურტყამს...

ქვედა სართულზე ქალი საათის მექანიზმთან დგას.

საათის მოსამართად ბერკეტს ატრიალებს. მექანიზმის სიმძიმის გადალახვით გამოწვეული ზამბარის ჟღარუნი. ქანქარის წიკწიკი.
ფოტოგრაფი ზემოდან ჩამოდის.

ქალი მას ხედავს, სრულიად არ უკვირს...
საათს მართავს.

ქალი: საათი რომ გაჩერდა, მივხვდი, აქ იქნებოდი... რატომ გააჩერე?

ფოტოგრაფი: დავიწყება მინდოდა.

ქალი: კარგად გეძინა?

ფოტოგრაფი: მეძინა, მაგრამ ვერ დავივიწყე... შენ დამესიზმრე.

ქალი საათის მექანიზმს შორდება და კოშკის დარაჯის მაგიდასთან ჯდება. მაგიდაზე წამლის შუშა, მატარებლის ბილეთი და განრიგი დევს.

ქალი: მატარებლის ბილეთი, განრიგი... აქედან მატარებელი რომ არ გადის...

ფოტოგრაფი: ვიცოდი, რომ სიზმარში გნახავდი.

ქალი: (დარდიანი და მსუბუქი იუმორით) რას ვაკეთებდი შენს სიზმარში?

ფოტოგრაფი: ჩემი სახე ორივე ხელით გეჭირა... ჩემი ამბის დასასრული უნდა მოგეყოლა... მაგრამ ისევ შუა ძილში გამომეღვიძა...

ქალი ყურადღებით უსმენს.
ფოტოგრაფი ქალის პირდაპირ, პატარა მაგიდასთან ჯდება.

ფოტოგრაფი: ჩემი სიზმრის დასასრული მომიყევი... ერთხელ მაინც გავიღვიძებ მშვიდად...

ქალი: (ფიქრებში ჩაფლული) სიზმრები ვერასოდეს დასრულდება... ამბები დასრულდება... ამას წინათ ერთი კაცი მოვიდა, სახე ტკივილით ჰქონდა დამძიმებული... ლატარეის ბილეთების გამყიდველი იყო, ერთ ბილეთზე ქალის სახე უნახავს და ვერ დაუვიწყებია... მთელი ცხოვრება არევია... დასცინოდნენ... სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა... მინდოდა მეთქვა, რომ გეპოვა ის... ნახატზე გამოსახული ქალი კი არა, ძიება რომ გყვარებოდა, ამის თქმა მინდოდა...

დუმილი.

ფოტოგრაფი: ისევ ძველებურად ვიყოთ... ფოტოსურათებს მოგიტან. სახეები ათვალიერე, ამბებს მოგიყვებიან... ყველაფერი ძველებურად იყოს... მიყვარხარ... მიყვარხარ...

ქალი წინ გაწვდილი ხელით ფოტოგრაფის სახეს თანაგრძნობით, სიყვარულით ეფერება.
ფოტოგრაფი თავს ქალისკენ აბრუნებს.

ფოტოგრაფი: მიყვარხარ.
ქალი: შენ გგონია, არასოდეს მიფიქრია, მე რომ მეძებდი? განა არ მინდოდა, რომ ერთ დღეს იქ მოვსულიყავი, სადაც მეძებდი?.. ზოგჯერ იმდენად მინდოდა, რომ შენი მზერა ჩემს მზერას ხვდებოდა... ვფიქრობდი, დარ-დიანების ქალაქში მეძებს-მეთქი... მეც იმ ქა-ლაქში ვიყავი... ახლა გაზეთებიდან ამოჭრილ სახეებს დაჰყურებს-მეთქი, ვამბობდი... იქ ყოველი სახე ჩემს სახედ იქცეოდა... ზოგჯერ, შენზე ფიქრისას, მეგონა, შენ რომ ხედავდი, იმ სამყაროდ გადავიქცეოდი... მაშინ მივხვდი, ჩემი თავი კი არა, ის სამყარო გინდოდა...

ფოტოგრაფი სახეს ქალის ხელებში რგავს. ჩურჩუ-ლით ეკითხება.

ფოტოგრაფი: რას ხედავ, მითხარი...

ქალი ნატვრით იხსენებს.

ქალი: დილაობით ფოტოებთან ერთად შენც გელოდი... შენი ყურადღებიანი, ჭკვიანი გამოხედვა მიყვარდა... მაგრამ, ვიცოდი, რომ ერთ დღეს შენ მოტანილ სურათებზე ვიპოვიდი იმ სახეს, რომელსაც ვეძებდი...

ქალმა ხელები ძირს დაუშვა.

ფოტოგრაფი თავს ხრის.

ქალი მაგიდიდან დგება, კოშკის მრგვალი ფანჯრიდან შემოსული სინათლისკენ მიდის.

ქალი: მე არ ვცდები, ძვირფასო, მე არ ვარ ის სახე, რომელსაც ეძებ (ფოტოგრაფისკენ ბრუნდება) ზოგჯერ, როცა შენ მოტანილ ფოტოებს ვაკვირდებოდი, შენს მზერას ვგრძნობდი და ვფიქრობდი, ნეტავ, თუ შევძლებდი სხვანაირი, სულ სხვანაირი ვყოფილიყავი... მაშინ, როცა ერთმანეთს შევხედავდით, სამყაროს კი არა,

ერთმანეთს დავინახავდით... ჩვენი თავი... სამყარო ვერ ვიპოვეთ (ფანჯრიდან შემოსულ შუქს უყურებს, ფიქრობს). ჯერ კიდევ გვინდა ღამეს დღე დავარქვათ, დღეს კი — ღამე... ასე მარტივად რომ იყოს ყველაფერი... ღამე სიბნელეა, დღე — სინათლე... ცოტა ხნის მერე კიდევ უფრო განათდება... მე მთელ ჩემს სიცოცხლეს საათებთან, სახეებთან გავატარებ... შენ ქალაქთა ქალაქში დაბრუნდები. ერთმანეთს ვეღარასოდეს ვნახავთ... მერწმუნე, შენ რომ ეძებ, ის ოცნება არა ვარ, სულაც არ ვარ...

ფოტოგრაფი ტირილს იწყებს, უხმოდ სლუკუნებს.

ქალი: ნუ ტირი, ნუ ტირი, გთხოვ...

ფოტოგრაფი ცოტა მშვიდდება.

ქალი საათის კოშკიდან გადის.

კოშკის უკანა ბილიკით მანქანისკენ მიდის...
ფოტოგრაფი მაგიდასთან გაოგნებული ზის.

საათის თავისუფლად მოძრავი ისარი.
ფოტოგრაფი საათის კოშკიდან გადის, მიდის ქალისკენ,
რომელიც მას ელოდება. ძალას იკრებს.
კოშკის საათი ცხრის ნახევარს აჩვენებს.
ფოტოგრაფი მანქანას უახლოვდება.
ქალი ფოტოგრაფს საათს აწვდის.
ფოტოგრაფი საათს ართმევს.

ქალი: მამაშენის იყო?

ეს მამის საათია, გულთა სახლში რომ დარჩა ფოტოგრაფს.
ფოტოგრაფი ვერ პასუხობს.
დუმილი.
ქალი ხვდება, რომ ფოტოგრაფის მამა მოკვდა.
ფოტოგრაფს უკანასკნელად შეხედა, მანქანაში ჩაჯდა.
მანქანის ძრავა ამუშავდა, მიდის, შორდება.

მეძველმანეს ამბავი

მსუბუქად ცრის.
ფოტოგრაფი საათის კოშკის უკანა ბილიკს მიუყვება.
წვიმის წვეთები წყლის ზედაპირს ეცემა... ფოტოგრაფი გზას აგრძელებს, უცებ პატარა გოგოს გულამოსკვნილი ტირილი ესმის.
წინ, ერთცხენიან ურემზე, მეძველმანეს და გოგოს ხედავს.

მეძველმანეს ურმიდან ჯართი, ღუმელის მილები, ძველი ნივთები ჩამოაქვს, თან მტირალ გოგონას აწყნარებს.

მეძველმანე: ნუ ტირი, ჩემო ლამაზო, ნუ ტირი... გაჩუმდი, ნუ მოიქანცე ტირილით თავი... ავტოკალამს გიყიდი... თანაც ღილაკიანს კი არა, ზამბარიანს... ნუ ტირი, კარგი? გაჩუმდი, ნუ ტირი...

ფოტოგრაფი მათ უახლოვდება... მეძველმანე, რომელმაც თითქმის გადმოცალა ურემი, ამჩნევს მოახლოებულ ფოტოგრაფს.

გოგონა ჯერ კიდევ ტირის.
მეძველმანე თან ურემს ცლის, თან ოდნავ დამცინავად და გამოჯავრებით ლაპარაკობს.

მეძველმანე: დედა არ ჰყავს, მამის იმედი არა აქვს... (იღიმება) მითხარი, ერთი, შენ, ჩემო კარგო, შეუძლია ადამიანს ცხოვრებაში რაც უნდა, ის მოიპოვოს?

ფოტოგრაფი ერთხანს ფიქრობს. მერე გაურკვევლად იცინის. ძველ სკამზე მდგარ გოგონას თბილად უყურებს.

ფოტოგრაფი: ვერ მოიპოვებს.

მეძველმანე: (გოგონას) ხედავ? (ფოტოგრაფს) მომეწონე, ძმაო... ჩემგანაც მოისმინე ერთი ამბავი...

ურმიდან ძველთაძველი ნივთების გადმოცლა დაიწყო, თან მხიარულად ჰყვება.

მეძველმანე: ერთხელ, ერთ შორეულ ქვეყანაში ერთი ქურდი ცხოვრობდა... ოცნებათა ქურდი... ღამღამობით, ჩუმ-ჩუმად მძინარეთა სიზმრებში შედიოდა და, რომელიც მოეწონებოდა, იმ სიზმარს ტომარაში დებდა, იპარავდა... დილით გაღვიძებულნი სულში შფოთვას გრძნობდნენ, რაღაც დამთრგუნველი გრძნობით იღვიძებდნენ... მერე დგებოდნენ და წმინდანთან მიდიოდნენ, თავიანთ დარდებს უყვებოდნენ... წმინდანი კი ჭკვიანი ყოფილა! იმათთვის უთქვამს, თქვენ სიზმრები დაგიკარგავთ, მაშინ თქვენს იმედებზე მომიყევითო... მაგრამ დარდიანები სიზმრებში დაკარგულს ვერ იხსენებდნენ და ამიტომ იმედებსაც ვერ ისახავდნენ... რატომ? იმიტომ, რომ მათი სიზმრები ჩემს ტომარაშია. აი, რატომ...

ტომრის დაცლას იწყებს. ამოღებულ ნივთებს დამცინავი მოძრაობით, მხიარულად აჩვენებს.

მეძველმანე: სარკე... უთო... ლამპა...

მეძველმანე გულიანად იწყებს ხარხარს.
გოგონაც უკვე ჩუმადაა.
მამამისის სიხარულით ხარობს.
ფოტოგრაფი სევდიანად იღიმება.
მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, თავს წევს, მაღლა იხედება.

წინ, გორაკზე, შიშველი, განმარტოებული ხე...

(დასაწყისი მე-2 გვერდზე)

ერთ დღეს, როცა „შავ წიგნს“ ვწერდი და ჯერ კიდევ მისით ვიყავი გაბრუებული, ომერ ქიავურმა დამირეკა და მითხრა, რომ ახალ ფილმთან დაკავშირებით რაღაც იდეები ჰქონდა და მკითხა, დავწერდი თუ არა ამ ფილმისთვის სცენარს. მერეც, შეხვედრაზე, ამ თემაზე საუბრისას, როგორც ვგრძნობდი თუ ვხვდებოდი, ტყუპებზე და წყვილებზე მესაუბრებოდა. მისგან მოსმენილი ამბით და უფრო მეტად მის მიერ გადაღებული ფილმით — „სასტუმრო სამშობლო“ — აღფთოვანებულმა რაღაც-რაღაცები მეც მოვუყევი. მაშინ ჯერ კიდევ ზემოხსენებული „შავი წიგნის“ გავლენის ქვეშ ვიყავი და თავში სხვა არაფერი მომდიოდა.

მერე დავსხედით და ერთმანეთს ამბებს ვუყვებოდით. ყოველი ამბავი იმედიანად იწყებოდა, იჭვნეულად გრძელდებოდა და როცა ვხვდებოდით, რომ აქედან კარგი ფილმი არ გამოვიდოდა, უიმედოდ ვამთავრებდით თხრობას. მაგრამ, როცა „შავი წიგნიდან“, „თოვლიანი ღამის სიყვარულის ამბიდან“ პავილიონის ფოტოგრაფის ამბის მოყოლა დავიწყე, ნაწარმოების გმირების ენით რომ ვთქვა, მივხვდი, რომ ვიპოვეთ ის, რასაც ვეძებდით. ომერმა მკითხა, როდის დავამთავრებდი ჯერ სახელდაურქმეველი „შავი წიგნის“ წერას და როდის დავიწყებდი სცენარზე მუშაობას. ორ თვეში დავამთავრებ წიგნს-მეთქი, ვუთხარი.

ამგვარად, ოცი თვის მერე, როგორც კი დავამთავრე წიგნის წერა, სცენარზე მუშაობას შევუდექი. „შავი წიგნი“ მდიდარი იყო ახალი ამბის დასაწყებითა და სასათაურე მომენტებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასში

მოთხრობილი პავილიონის ფოტოგრაფის ამბავი გადატ-ვირთული იყო შეუწყნარებლობითა და შავი იუმორით და რომანის თემატიკისთვის შეუფერებელი იუმორით გაჯერებული დასასრული ჰქონდა. ქალი — ქვრივი, ფოტოგრაფი კი ამბის მოყოლის მომენტში ჭაღარა და მოხუცი იყო. მივხვდი, რომ ეს ამბავი სულ თავიდან, რომ ვოცნებობდი, იმ ამბამდე უნდა დამეყვანა, ყველაზე წმინდად გადამექცია და საქმეს უნდა შევდგომოდი. ამიტომ, პირველი, რაც უნდა გამეკეთებინა, ფოტოგრაფის გაახალგაზრდავება და ქალის ქვრივობის, დაოჯახების ფაქტის ამოღება იყო. ამგვარად, უკვე ჩემი ამბავის ჩემებურად გაგრძელების საშუალება მომეცემოდა. მახსოვს, ომერს სცენარის წერის ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებით რაღაცები ვკითხე. მან კი წერაში სრული თავისუფლება მომანიჭა...

მეც, როგორც მინდოდა, ისე დავწერე... როგორც რომანის წერისას, ამ ამბის (კალამი არ მაწერინებს სიტყვას „სცენარი“) წერა ყველაზე ძალიან რომ მინდოდა და მეწერინებოდა, იმ ადგილიდან დავიწყე. შემდეგ ამბის დასაწყისს დავუბრუნდი. ერთად მუშაობა შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მაშინ დავიწყეთ.

წერისას, თავიდან საერთოდ რომ არ მიფიქრია, ისე წამოჰყვეს და ერთად მოიყარეს თავი მოტივების, თემების, ელემენტების, ნივთების, უთოების, მაგიდების, მივიწყებული ადგილების, საათის კოშკების, ყასბების, დამლაგებელი ქალების, შეიჰ გალიფის ბწკარედების, ჩაიხანებისა თუ ხეების მთელმა წყებამ. ამათგან ზოგი თავად ამბიდან გამომდინარეობდა, ზოგი — ჩემ მიერ თავდაუღწეველი „შავი წიგნიდან“, ზოგი — ომერ ქიავურის ძველი ფილ-მების სამყაროდან და ზოგიც — თურქეთის გეოგრაფიული

მდებარეობიდან. მეც ყოველი მათგანი მივიღე და გამოვიყენე. ვფიქრობ, რომ, თუ წერას შაბლონურად სამოგზაუროდ გზაზე გასვლას ვუწოდებთ, წერის ბედნიერება ამ მოგზაურობისას გაცნობილი მეგობრების საკუთარ სამყაროში მიღების სიხარული უნდა იყოს.

ჰო, სიტყვამ მოიტანა და ქალაქ კასტამონუს საათის კოშკი სწორედ ამ სიხარულით ჩავსვით ჩვენს ამბავში. ომერის თხოვნით, კოშკში გარკვეული ცვლილებები შევიტანე. ისიც თავისი მდებარეობითა და არსებობით იმ მსახიობად გადაიქცა, სცენარით მოხიბლული და როლით კმაყოფილი რომაა. ომერმა ეს სერიოზული და სოლიდური მსახიობი ფილმში ისე ათამაშა, რომ კასტამონუს მცხოვრებლებმაც გულთა ქალაქის მობინადრეებივით დაიჯერეს ფილმში ნანახი.

გაზეთის ამონაჭრების, სახეების თვალიერებაში მომლოდინე ფოტოგრაფის, დაკარგული კვალის ძიების ამბავი „შავი წიგნიდანაა", „ფარული სახის" ავტობუსის მგზავრები — ო. ქიავურის ფილმიდან „პროვინციის სასტუმროები". წერისას და ომერთან ერთად მუშაობისას, რასაკვირველია, მქონდა რამდენიმე აზრი, რომელიც, საბოლოოდ, სცენარის შემდეგ ფილმის სულსა და გულს გადაშლიდა.

თავიდანვე იმედი მქონდა, რომ სპეტაკი, ჭეშმარიტი სიყვარულის ისტორიის, „ფილმში ფილმი" რომ ვუწოდე, იმ პრინციპულ სცენებს გადავარჩენდი ბანალური სიყვარულის ამბად გადაქცევისაგან. ისეთ ფილმზე, სცენების წყებაზე ოცნება, კინოთეატრში ჯდომისას საკუთარ თავს რომ დაგავიწყებს, გაგაოგნებს, გაგაფრთხილებს, ძნელი არ უნდა იყოს. იქნებ გადაუღიათ კიდეც ასეთი ფილმი...

მინდოდა, ომერის ფილმის სცენები უფრო გრძელი, მდიდარი, არეულ-დარეული ყოფილიყო. ომერს კი, პირიქით, მოკლე მონოლოგების დადგმა სურდა. ერთად მუშაობის დროს, მონოლოგებზე საუბარს რომ ვიწყებდი, ომერს ისეთი ფორიაქი ეწყებოდა, წვიმის დაწყების წინ ქოლგის მაძებარ ადამიანს რომ დაეუფლება ხოლმე. გმირების ბუნების გასაშლელად გრძელი მონოლოგების დაწერა რომ მინდოდა, უკვე თავშიც ვახსენე. მაგრამ, რისთვის მინდოდა, ამ მონოლოგებით რისი ახსნა მინდოდა, რაზე მინდოდა მიმენიშნებინა, მართალი რომ გითხრათ, ახლაც არ ვიცი... უბრალოდ, მინდოდა ეს მონოლოგები დამეწერა!..

ასე რომ არა ყოფილიყო, მონოლოგებში არსებული ელემენტების წინ წამოწევით ფილმის ლიტერატურული ნაწარმოებივით კითხვა სცენარის კითხვად გადაიქცეოდა. რასაკვირველია, ის გრძელი მონოლოგები ლიტერა-ტურული სიამოვნებით დავწერე. ის კი არადა, ამ სცენარს იქნებ სწორედ იმავე სიამოვნების ილუზიით ვაქვეყნებ. თუმცა, ვიცი, რომ კინოთეატრში ფილმის ყურებისას, სავარძელში ჯდომისას გმირების ხმასაც მნიშვნელობა აქვს. გმირებს შეეძლოთ, სხვა რამეზე ესაუბრათ, ეს კი სცენარისა და ფილმისგან მიღებულ სიამოვნებას შეცვ-ლიდა (თუ ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელია).

ასევე, ამბავში ნახსენები ნივთები, მოტივები, წყობის წინ წამოწევა, სიმბოლური მნიშვნელობის მინიჭება ჩემი ახირება და სურვილი არ არის. წიგნის ბოლოს, როცა ქალის ვნებები და ამბავი მესაათეს ვნებებსა და ამბავს უერთდება, კი არ კითხულობთ, უკვე გესმით ჩახლართული ენით დაწერილი. ვფიქრობ, ამ ამბის მჭერმეტყველურად გადმოცემაზე მეტად ამბის თხრობა, რიტმი და აურა

უფრო მნიშვნელოვანია. სამოგზაუროდ გასულები, მანქანის ფანჯრებიდან გარემოს მაინცდამაინც დიდი ინტერესით არ ვათვალიერებთ, მაგრამ თუ ამავე მოგზაურობას მანქანის წინა სავარძელზე მოთავსებული კამერის თვალით ვუყურებთ თეთრი ფარდის კედელზე, რაღაც სხვა, უცნაური გრძნობა მოგვიცავს ხოლმე. და თუ სცენარს ამგვარად ადამიანის მოჯადოება არ შეუძლია, მწერლის პატივმოყვარეობას მაინც დააკმაყოფილებს.

რადგან აქამდე მოვედი, ბარემ ფილმზეც ვიტყვი ერთ-ორ სიტყვას. არ ვიცი, ჩემი ნაწერი დაემსგავსება თუ არა უწიგნურების, და რადგან სიტყვა წიგნი ვახსენე, მის სარგებლიანობაზე მოსაუბრეების ლაპარაკს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ადრინდელივით უკვე აღარ ვუყურებ ფილმებს. იყო დრო, როცა სტამბოლში, საკონსულოებში, „დადებითად შეფასებულ“ კინო-კლუბებში ზამთრის ცივ დღეებში, იმ დროს, როცა გარეთ ბომბები ფეთქდებოდა, უფულოდ და უსაწვავოდ დარჩენილ, გაყინულ სალონებში ფენა-ფენად ჩაცმული 3-5 კაცი ფილმს ვუყურებდით. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს არ ვიცნობდით, ნათესავებივით ვიყავით და კლუბებში შესვლისას ერთმანეთის სახეებს ვეძებდით.

რისთვის წერს ადამიანი სცენარს? სცენარისტობა ისეთ განვითარებად ქვეყანაში, სადაც ფილმის წარმატება თუ წარუმატებლობა ფასდება, როგორც სოციალური მოვლენა, წარმოუდგენელია ვინმეს მიზანი იყოს. ზოგი სცენარს ფულისთვის წერს, ზოგისთვის ეს რეჟისორობამდე მისასვლელი გზის აუცილებელი ატრიბუტია. მართალი გითხრათ, შინაგანად არც ერთი არ მიგრძვნია. ვინმესთან ერთად ჯდომა და ამბის შეთხზვა, ფილმზე ოცნება უფრო მიზიდავდა.

ხუთ-ათ გვერდს დავწერდი, ომერს ვაჩვენებდი, შემდეგ ვსაუბრობდით, თუ რაზე იქნებოდა შემდეგი სცენა, ფილმზე ოცნებებში ვეფლობოდით. ხანდახან წინ ვერ მივდიოდით, მაშინ სახლში ფსიქოლოგთან მისული პაციენტივით დივანზე წამოვწვებოდი ხოლმე და თვალებს ჭერს მივაპყრობდი, ვფიქრობდი. ომერი კი, ჩემი ქაღალდებითა და წიგნებით მტვრით სავსე სახლის ნახევარსაუკუნოვან იატაკს ჭრიალს აუტეხავდა, ბოლთას სცემდა. „ქალი კიბეზე გამავალი კარისკენ მიდის, სადგამზე დაყრილ ფოტოებს ხედავს...“ ვიმეორებდით რაღაც მღელვარებითა და უიმედობით მოცულნი. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდებოდა. მაშინ ვფიქრობდი, რომ ჩემი 15 წლის მუშაობის განმავლობაში პირველად, ნიშანთშის მოედანზე მანქანების საცობისგან გამოწვეული ქუჩის ხმაურის ფონზე, რომელიც ჩვენს შორის ჩამოვარდნილ სიჩუმეს არღვევდა, მარტო ამ ამბის ზოგიერთ საკითხს ვერ ვწყვეტდი და ეს რაღაც მავსებდა გაუგებარი გრძნობით, რომელიც არც გაოგნებას ჰგავდა, თუმცა, აშკარად მსიამოვნებდა.

ამ გრძნობის დაგემოვნებისთვის ომერს რაც არ უნდა მადლობა ვუხადო, მაინც ცოტა იქნება. და აწიც, თუ კიდევ დავწერე სცენარი, კვლავ ამ შეგრძნებისთვის დავწერ.

1991 წლის დეკემბერი

ვინ არის ორჰან ფამუქი?

ორჰან ფამუქი თანამედროვე თურქულ ლიტერატურაში ყველაზე ცნობილი და სკანდალური მწერალია. იგი დაჯილდოებულია არაერთი თურქული და საერთაშორისო ლიტერატურული ჯილდოთი და თარგმნილია 40-ზე მეტ ენაზე.

იგი დაიბადა 1952 წელს შეძლებული ინჟინრის ოჯახში. სტამბოლის ამერიკული კოლეჯის დამთავრების შემდეგ, მამის გავლენით, მომავალი მწერალი აბარებს სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე, რომელსაც სამ წელიწადში თავს ანებებს და ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გადადის, რომელსაც 1977 წელს ამთავრებს.

1985-1988 წლებში ორჰან ფამუქი ასწავლის ნიუიორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში. ამის შემდეგ ის ისევ სტამბოლში ბრუნდება. მისი პირველივე რომანი „წყვდიადი და სინათლე“ (1979წ.) წარმატებული აღმოჩნდა – გაიმარჯვა ლიტერატურულ კონკურსში. ამის შემდგომ ფამუქის ლიტერატურული კარიერა ელვის სისწრაფით იზრდება – მას მსოფლიოს წამყვანი პრესა აღმოსავლეთის ახალ ვარსკვლავს უწოდებს.

1992 წელს ორჰან ფამუქი წერს სცენარს ფილ-

მისფის „ფარული სახე“, რომელიც შემდეგ წიგნადაც გამოიცა. სცენარის მიხედვით ფილმი გადაიღო თურქეთში ცნობილმა რეჟისორმა ომერ ქიავურმა, რომელმაც საუკეთესო სცენარისა და საუკეთესო ფილმისათვის მონრეალისა და ანტალიის კინოფესტივალების ჯილდოები დაიმსახურა. ეს პიესა თარგმნილია მრავალ ენაზე და აღიარებულია, როგორც პიესა — შედევრი.

ორჰან ფამუქის წიგნებისთვის დამახასიათებელია ეროვნული თვითგამორკვევის კრიზისი, რომელიც გამოიწვია ევროპულ და ისლამურ ღირებულებათა კონფლიქტმა. „ეს თემა თანამედროვე მკითხველისთვის შეიძლება ერთგვარად გამაღიზიანებელიც კი იყოს, მაგრამ ფამუქისეული მოვლენების კომპლექსურ განვითარებას, დამაინტრიგებელ სიუჟეტებსა და ხასიათების სიღრმეს აღტაცებაში მოვყავართ“, — აღნიშნავენ კრიტიკოსები.

დღეს, უკვე ნობელის პრემიის ლაურიატს, მსოფლიოს შვიდ დიდ თანამედროვე მწერალს შორის ასახელებენ. ესენი არიან: ინგლისელი ჯონ ბერგერი, მექსიკელი კარლოს ფუენტესი, გერმანელი გიუნტერ გრასი, ფრანგი ჟანმარი დე კლეზი, იტალიელი კლაუდიო მაგრისი და ესპანელი მანუელ ვასკეს მონტოლბანი. კრიტიკოსები ორჰან ფამუქის შემოქმედებას ხორხე ლუის ბორხესს, ტომას ვულფს, უილიამ ფოლკნერს ადარებენ.

ᲒᲘ 1587/17



რედაქტორი – სოფიო კობიაშვილი
გვანცა ჯობავა
დიზაინერი – მზია ლეკვეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი – ლალი ბიჭაშვილი

Book Land
წიგნის სამყარო

წიგნი ადგილზე მიტანით!

ტელ.: 92 35 70
45 33 79

www.bookland.ge



61.372
2

საქართველოში პირველად გამოდის თანამედროვე თურქულ ლიტერატურაში ყველაზე ცნობილი და სკანდალური მწერლის ორჰან ფამუქის ნაწარმოები, რომელიც თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. ორჰან ფამუკი დაჯილდოებულია არაერთი თურქული, საერთაშორისო ლიტერატურული ჯილდოთი, მათ შორის ნობელის პრემიით. 1992 წელს ორჰან ფამუქი წერს სცენარს ფილმისთვის „ფარული სახე", რომელიც შემდეგ წიგნად რამდენჯერმე გამოიცა, რითაც დაიმსხვრა ბუნი, რომ სცენარებს არ კითხულობენ. ამ სცენარის მიხედვით ფილმი გადაიღო ცნობილმა რეჟისორმა ომერ ქიავურმა, რომელმაც ამ ფილმისათვის მონრეალისა და ანტალიის კინოფესტივალის ჯილდოები დაიმსახურა.

ISBN 99928-61-09-6